# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 21 ივნისი 2003 №114 (1885) | ფასი 50 თეთრი





## ქართველების წილი

### დინამო — ტირანა

შუშაკს ალბანეთი არ ასცდა

### ლანსი — ტორპედო

ტორპედოს უტაკაა ატაკეს



### პუხოვი — სიონი

ბოლნისმა ტყუპისცალი ნახა

## და ხვედრი?


იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები


# ხვალ სიზმარში კრივს ნახავთ

# ლუისმა კლიჩკო უნდა გალახოს



ამერიკული დროით შაბათ საღამოს, ჩვენით კი ხვალ კარგა გათენებულზე, ასე, 8 საათზე ეკრანის და სპორტის ვარსკვლავების საუფლო ლოს ანჯელესი რინგის ორი ვარსკვლავის, ბრიტი ლენოქს ლუისის და უკრაინელი ვიტალი კლიჩკოს ჯახს მოიწყობს. ჯახი საჩემპიონოა და ძველი ჩემპიონი ლუისი პრესტიჟულ საბჭოს ქამარს ჩამოდის, თანაც იმგვარი უდარდელი ლაყბობით, რომ ეჭვიც არ ეპარება, ერთი-ორი რაუნდის შემდეგ უკან წაიღებს. და თუმცა ორმეტრიანი ვიტალის მკლავში ძალა და თავში ჭკუა არ აკლია, ვერც ჩვენ შეგვაქვს ეჭვი ასაკშეპარულ, მაგრამ მაინც ძალმოსილ ძველ ჩემპიონში. ასე რომ, ხვალ, ახალგაღვიძებულზე გოლიათი უკრიანელი ვინძლო „სტეიპლზ სენთერის" რინგზე გაშოტილი დაგიხვდეთ.

ინტრიგა და ინტერესი მაინც საკმაოა. ლუისისა არ იყოს, ვიტალი კლიჩკოც იშვიათი ინტელექტუალია კრივში და როცა მუშტების ქნევით არაა დაკავებული, ფილოსოფოსობს. ოპტიმისტი ფილოსოფოსია კლიჩკო და საკუთარი თავისაც სჯერა, მაშინაც კი, როცა რინგზე უროსავით მუშტმოღერებული ლენოქს ლუისი პირისპირ უდგას.



# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

## ტირანა

ტირანა, ალბანეთი
დაარსდა 1920 წელს
კლუბის პრეზიდენტი: აბდელრაჰმან ალ საიდი
გენერალური მდივანი: შკელქიმ მუკა
მთავარი მწვრთნელი: სულეიმან მემა
სტადიონი: „ქემალ შტაფასი" (ტევადობა 10 000)
ქვეყნის ჩემპიონი (20): 1930, 31, 32, 34, 36, 37, 65, 66, 68, 70, 82, 85, 88, 89, 95, 96, 97, 99, 2000, 2003
ქვეყნის თასის მფლობელი(12): 1938, 63, 76, 77, 83, 84, 86, 95, 96, 99, 2001, 2002
ჩემპიონთა თასზე:
20 თამაში; 3 მოგება, 3 ფრე, 14 წაგება; ბურთები 19:33
თასების მფლობელთა თასზე:
10 თამაში; 4 მოგება, 1 ფრე, 5 წაგება; ბურთები 9:16
უეფას თასზე:
10 თამაში; 1 მოგება, 1 ფრე, 8 წაგება; ბურთები 8:23

მეკარეები: ნდუბუისი ეგბო, ისლი ჰიდი, გერტი შარა;
მცველები: ელვის სინა, ნევილ დედე, რეზარტ დაბულა, ფიოდორ ჯაფა, გენტიან ჰაიდარი, ალბან ტაფაი, სუად ლიჩი;
ნახევარმცველები: ერვინ ბულკუ, არდიან მემა, ფლორინ მანასტირლუ, დევი მუკა, ანსი აგოლი, სოკოლ ბულკუ, საიმირ პატუში, რედი ჯუპი;
თავდამსხმელები: მაჰირ ჰალილი, ინდრიტ ფორტუცი, არიან ვერაი



„ტირანას" საშინაო და საგარეო ფორმა

### I საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პიუნიკი (სომხეთი) | — | რეიკიავიკი (ისლანდია) |
| 2 | შერიფი (მოლდოვა) | — | ფლორა (ესტონეთი) |
| 3 | ტორსჰავნი (ფარერები) | — | კაუნასი (ლიტვა) |
| 4 | ბატე (ბელარუსი) | — | ბოჰემიანსი (ირლანდია) |
| 5 | ვარდარი (მაკედონია) | — | ბარი თაუნი (უელსი) |
| 6 | გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | — | ლეოტარი (ბოსნია) |
| 7 | ჰიკ (ფინეთი) | — | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) |
| 8 | სლიმა უონდერერსი (მალტა) | — | სკონტო (ლატვია) |
| 9 | ომონია (კვიპროსი) | — | ირტიში (ყაზახეთი) |
| 10 | **დინამო (საქართველო)** | — | **ტირანა (ალბანეთი)** |

*პირველი მატჩები — 16 ივლისი, საპასუხოები — 23 ივლისი*

### II საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| მტკ (უნგრეთი) | — | 7 წყვილის გამარჯვებული |
| 1 წყვილის გამარჯვებული | — | ცსკა (ბულგარეთი) |
| 3 წყვილის გამარჯვებული | — | სელტიკი (შოტლანდია) |
| 6 წყვილის გამარჯვებული | — | სლავია (ჩეხეთი) |
| 2 წყვილის გამარჯვებული | — | შახტარი (უკრაინა) |
| ზილინა (სლოვაკეთი) | — | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) |
| 4 წყვილის გამარჯვებული | — | რუსენბორგი (ნორვეგია) |
| მარიბორი (სლოვენია) | — | დინამო (ხორვატია) |
| ცსკა (რუსეთი) | — | 5 წყვილის გამარჯვებული |
| რაპიდი (რუმინეთი) | — | ანდერლეხტი (ბელგია) |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | იურგორდენი (შვედეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) | — | 9 წყვილის გამარჯვებული |
| დანიის ჩემპიონი | — | 8 წყვილის გამარჯვებული |
| **10 წყვილის გამარჯვებული** | — | **გრაცერი (ავსტრია)** |

*პირველი მატჩები — 30 ივლისი, საპასუხოები — 6 აგვისტო*

### 2003 წლის ფიფას კონფედერაციის თასი

A ჯგუფი. II ტური

კოლუმბია 3:1 ახალი ზელანდია
საფრანგეთი 2:1 იაპონია

# დინამოს მეტოქე

მიქელე იანკუ ტირანიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

## ეგვიპტელი მშენებელი აგვაშენებს

„ტირანა" ალბანეთის საუკეთესო და დღესდღეობით ყველაზე შეძლებული გუნდია. კლუბის მფლობელი ეგვიპტელი მილიონერი ალ საიდია, რომელიც ალბანეთში სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული. უკვე ერთი წელიწადია, იგი „ტირანას" პატრონობს და არაფერს უჭირვებს. ამ გუნდს საუკეთესო პირობები აქვს ალბანეთში და შესაბამისად ტირანელთა ამბიცია დანარჩენებისას სჭარბობს.

წინა სეზონში „ტირანას" სერბი ენვერ ჰაჯიაბდიჩი თავკაცობდა, რომლის ხელშიც გუნდმა ჩემპიონატის პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა, მაგრამ იმის გამო, რომ მისი შეგირდები სანახაობრივ ფეხბურთს ვერ თამაშობდნენ, მწვრთნელს ბევრი ოპონენტი გაუჩნდა. საბოლოოდ ჰაჯიაბდიჩი „ტირანაში" სეზონის ბოლომდე დარჩა, გუნდი გაჩემპიონდა და თანამდებობა თავისივე სურვილით დატოვა.

სულ ერთი კვირაა, ახალ მწვრთნელად სულეიმან მემა დანიშნეს. ის „ტირანაში" თამაშობდა და ერთხანს თავკაცობდა კიდეც მშობლიურ გუნდს. ბოლოს კი ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობდა და პირველი ლიგის ჩემპიონატის კურატორი იყო.

მემა პირველ ვარჯიშს გუშინ ჩაატარებდა. სწორედ გუშინ „ტირანა" ბუდაპეშტს გაემგზავრა 25-დღიან მოსამზადებელ შეკრებაზე და „ფერენცვაროშის" ბაზაზე დაბინავდა. „ტირანას" უნგრეთში შვიდი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. მოუცლელობის გამო მემასთან დაკავშირება და თბილისის „დინამოზე" მისი აზრის გაგება ვერ მოვახერხეთ, თუმცა კი შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი არ იქნება. საერთოდ, ალბანეთში ქართულ გუნდებსა თუ ნაკრებს ყოველთვის მეტად უხერხულ მეტოქეებად თვლიდნენ. მოკლედ, კენჭისყრამ არ გაგვიმართლა, ვთვლით, რომ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაზე ძლიერი მეტოქე სწორედ „ტირანას" შეხვდა. თუმც მაინც იმედიანად ვართ. როგორც ფინანსურად, „ტირანა" თავის ბრძოლისუნარიანობითაც გამორჩეული გუნდია და საკმაოდ ბევრი ქომაგი ჰყავს. გუნდის ლიდერებად ნახევარმცველები — მუკა და ჯუპი, ასევე თავდამსხმელი ჰალილი ითვლებიან. ჰალილი ტანმორჩილია, მაგრამ გოლების უმეტესობა სწორედ თავით გააქვს. საიმედოდ თამაშობს ნიგერიელი მეკარე ეგბოც. ქვეყნის ნაკრების წევრებად „ტირანადან" მცველები დედე და დაბულა ითვლებიან, თუმც მწვრთნელი მათ ხშირად სათადარიგოდ ტოვებს.


ალბანელთა ეგვიპტელი მეპატრონე აბდელრაჰმან ალ საიდი


ინდრიტ ფორტუციმ (მარჯვნივ) და „ტირანამ" შარშან კვიპროსულ „აპოლონს" ვერ აჯობეს

## საქმე იყო ზაჯმაზე

### წილისყრამ ვლაზნია გაგვახსენა

**ჩემპიონთა ლიგის** პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონს ალბანური ბარიერის დაძლევა მოუწევს. გუშინ ნიონში თბილისის „დინამოს" მეტოქედ „ტირანა" ერგო.

გუშინდელი კენჭისყრის მსვლელობისას იმგვარი ვითარება შეიქმნა, რომ დინამოელთა მეტოქე ყაზახური „ირტიში", ან „ტირანა" უნდა გამხდარიყო. ბედმა კვლავაც ალბანელებს შეგვახვედრა. შეგახსენებთ, 1998 წელს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზეც ალბანური გუნდი ჰყავდა „დინამოს" მეტოქედ. მაშინ მურთაზ ხურცილავას გუნდმა გაჭირვებით სძლია „ვლაზნიას", თუმც ყოველივე მეტოქის დამსახურება უფრო იყო, რაკიღა თბილისში წაგებული 0:1·0:3-ად ჩაეთვალა. საქმე ისაა, რომ ალბანელებმა განუცხადებელი ფეხბურთელი ათამაშეს. საპასუხო მატჩში „ვლაზნიამ" 3:1 კი იმარჯვა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ასეთი ანგარიში საკმარისი არ აღმოჩნდა.

გუშინდელ კენჭისყრაზე ისიც გაირკვა, რომ „დინამო" — „ტირანას" წყვილის გამარჯვებულს მეორე ეტაპზე ავსტრიული „გრაცერი" დაელოდება. „დინამოს" დიდების პერიოდში უთამაშია ამ გუნდთან 1981 წელს თასების თასზე. ორი მატჩის ჯამში 4:2 (შინ 2:0) გაიმარჯვეს თბილისელებმა. თუმც მაშინ სხვა დრო იყო, წლეულს კი „გრაცერამდე" ცარიელი შინაური ტრიბუნები და ალბანური ხვატი ელის „დინამოს".

1920 წელს ალბანელმა პატრიოტებმა სპორტული ასოციაცია „აგმი" ჩამოაყალიბეს. პრიორიტეტულ სახეობად მაშინვე ფეხბურთი იქცა. იმავე წელს ასოციაციის საფეხბურთო გუნდი „აგმი" შკოდერის „იუვენტუსს" შეხვდა. 1925 წელს ასოციაციამ მმართველი საბჭო აირჩია ვინმე ზაჯმის თავმჯდომარეობით და ამ კაცის ინიციატივით საფეხბურთო გუნდს „ტირანა" დაერქვა. ზაჯმის დიდი დამსახურებაა ალბანეთის პირველ ჩემპიონატში „ტირანას" გაჩემპიონება. მეორე მსოფლიო ომამდე „თეთრ-ლურჯებმა" კიდევ ოთხჯერ იპირველეს.

ომის შემდეგ ალბანეთში კომუნისტები გაბატონდნენ. „ტირანა" სამთავრობო გუნდად იქცა და სახელიც შეეცვალა — კომუნისტური „17 ნენტორი". გუნდს დიდი ჩავარდნა ჰქონდა 70-იან წლებში, მუდამ აუტსაიდერთა შორის იყო, მაგრამ 80-იანებში კვლავაც აღმავლობის გზას დაადგა და ოთხჯერ იჩემპიონა.

კომუნისტური დროების დასრულების მერე კლუბმა ძველი სახელი — „ტირანა" დაიბრუნა.

„დინამოს" მეტოქე წლეულს მეოცედ გახდა ალბანეთის ჩემპიონი. „ტირანამ" „ბილიშის" 6:1 ძლევით ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გაიფორმა პირველობა. გუნდი ალბანეთის თასზეც წარმატებით თამაშობდა, მაგრამ ნახევარფინალში ორივე მატჩი დათმო თანაქალაქელ „დინამოსთან".

„ტირანას" ლიდერი შემტევი მაჰირ ჰალილია. საჩემპიონო მატჩში ჰალილმა ოთხი გოლი გაუტანა „ბილიშს", სულ კი სეზონში თვრამეტის გატანა შეძლო და შინაური ჩემპიონატის მთავარმეგოლეც გახდა.

ჩემპიონთა ლიგაში ალბანურ გუნდს ოცი მატჩი აქვს ჩატარებული. „თეთრ-ლურჯებმა" სამჯერ იმარჯვეს, ამდენჯერვე ფრედ ითამაშეს და 14-ჯერ დამარცხდნენ. პირველი ეტაპის გადალახვა „ტირანას" ორჯერ მოუხერხებია. 1988-89 წლების სალიგო სეზონში ალბანელებმა მალტის „ჰამრუნ სპარტანსი" დაიფრინეს, ერთი წლის შემდეგ კი მალტისავე „უონდერერზი" გამოთიშეს გათამაშებიდან. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტირანამ" ბოლოს 1999-2000 წლების სეზონში ითამაშა და ორივე მატჩი დათმო კიშინიოვის „ზიმბრუსთან". შარშანდელ ევროსეზონში „დინამოს" მომავალმა მეტოქემ უეფას თასზე ითამაშა, თუმც წარუმატებლად — ორი მატჩის ჯამში „ტირანა" 4:5 დამარცხდა კვიპროსულ „აპოლონთან".

**ბაატა ქმანტალიანი**


დევი მუკა

*ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრის დამთავრების შემდეგ შვეიცარიაშივე დავუკავშირდით თბილისის „დინამოს" აღმასრულებელ დირექტორს გია ფირცხალავას, ალბანელთა და ავსტრიელთა წარმომადგენლებს ის უკვე შეხვედროდა და ეს გვითხრა:*

# ალბანეთმა ჩვენი ყველაფერი იცის

— ვერც ერთი გუნდის წარმომადგენელს კმაყოფილება ვერ შევატყვე. აშკარა იყო და არც ალბანელს, არც ავსტრიელს დაუმალავს, რომ თბილისის „დინამოს" მეტოქეობას სხვა გუნდი ერჩივნათ.

„გრაცერი" უკვე თავის მეტოქედ გვთვლის. ავსტრიელმა გაიხსენა ძველი „დინამო", რომლის პირველივე მეტოქე თასების თასის მოპოვების შემდეგ სწორედ „გრაცერი" იყო. ავსტრიელებს ახლანდელ „დინამოზეც" ჰქონიათ ინფორმაცია, თუმც ალბანელები უფრო უკეთ გვიცნობენ, იციან, რომ ჩემპიონობასთან ერთად თასის მფლობელებიც ვართ, მწვრთნელი უცხოელი გვყავს და რამდენიმე ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში თამაშობს. მოკლედ, ვერ გეტყვით, „დინამოს" მეტოქეობა ალბანელებს გულზე ეხატებათო, თუმც „ტირანა" არც ჩვენთვისაა ხელწამოსაკრავი გუნდი. ალბანელები ახლა უნგრეთში არიან მოსამზადებლად და რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარებას გეგმავენ.

# თბილისში გოლი არ უნდა გავუშვათ



— ალბანური ფეხბურთი ახლა აღმავლობის გზაზეა. რაც რუსები დაამარცხეს, ქვეყანაში საფეხბურთო ბუმია. ჩვენ ამოცანას გვირთულებს ის, რომ „ტირანასთან" თბილისურ მატჩს ცარიელი ტრიბუნებით ჩავატარებთ. ვფიქრობ, წყვილში გამარჯვებულის ვინაობა ტირანაში, საპასუხო მატჩისას გაირკვევა, ალბანეთში სტუმრობამდე კი თბილისში უნდა ვითამაშოთ წარმატებით და ჩვენი კარი უგოლოდ შევინახოთ. მჯერა, „დინამოს" „ტირანას" დამარცხების ძალა შესწევს. „გრაცერზე" კი ჯერ არ ვფიქრობ, ახლა მხოლოდ „ტირანაა" ჩემი საფიქრალი და ამ გუნდზე უნდა ვიმუშავო. ავსტრიელებზე ალბანელებთან წარმატების შემდეგ გადავერთვები.

# დინამომ შუშაკი დაიტოვა, ოღონდ ბევრს არ დაიტოვებს

## ჩემპიონებს სალიგოდ ასათიანიც უნდათ

**თბილისის „დინამოს"** მწვრთნელმა ივო შუშაკმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა და ქვეყნის ჩემპიონებს, სულ მცირე, გაისად ამ დრომდე გაწვრთნის.

ხორვატ სპეციალისტს „დინამოსთან" ძველი კონტრაქტი, რომელიც შარშან გააფორმა, ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაუმთავრდა და ჭორიც მაშინვე აგორდა, შუშაკი „დინამოდან" მიდისო. ირლანდიაში სანაკრებო მატჩის შემდეგ ის თბილისში მართლაც არ ჩამოსულა და პირდაპირ ხორვატიაში გაემგზავრა, თუმც კლუბთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია, შვებულებაშია და ოჯახთან ერთად ზღვაზე ისვენებს. „დინამოს" ივო შუშაკი პირდაპირ გერმანიაში, დაბა რუიტში შეუერთდება და საქმესაც გააგრძელებს. თბილისელები გერმანიაში 20 დღეს დარჩებიან და „ტირანასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მოემზადებიან.

რუიტში სავარაუდოდ 20 ფეხბურთელი გაემგზავრება. თბილისში დარჩებიან და დილომში ივარჯიშებენ ირაკლი ვაშაკიძე, გიორგი მიქაძე, გიორგი მანწკავა, მიხეილ მაზიაშვილი და ლაშა ჯაკობია. ამ ფეხბურთელებს კლუბთან კონტრაქტი კი აკავშირებთ და დინამოელებად ითვლებიან, მაგრამ ხელმძღვანელობამ ამ ეტაპზე მათი თბილისში დატოვება გადაწყვიტა. სამაგიეროდ, „დინამოს" შეკრებაზე სამი ახალი ფეხბურთელი გაჰყვება — მამუკა წერეთელი, ზურაბ ექონია და სანდრო იაშვილი. ექონია „დინამომ" ფარმკლუბიდან დაიმატა, წერეთელი კვიპროსიდან დაბრუნდა, იაშვილმა კი კლუბთან ახალი, ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი ახლახან გააფორმა. გერმანიაში ძირითადად სეზონში ნაცადი დინამოელები წავლენ, თუმც არაა გამორიცხული, რუიტამდე გუნდს სამი-ოთხი ახალი ფეხბურთელიც შეუერთდეს, რამდენიმე უცხოელი კი იქ დახვდეს. შევიტყვეთ ისიც, რომ „დინამოს" მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ნახევარმცველის მალხაზ ასათიანის განათხოვრებაზე რუსებთან უკვე ჩამოუგდია სიტყვა. „დინამომ" ასევე მოლაპარაკება წამოიწყო თბილისის „ლოკომოტივთანაც". ჩემპიონებს დავით სირაძე და მეკარე გიორგი ლომაია სურთ. „დინამო" რუიტში სამშაბათს მიემგზავრება და იქამდე ალბათ, წამსვლელთა სრული სია გვეცოდინება.

**კობა ინასარიძე**



მალხაზ ასათიანი

# უეფას თასი 2003-2004

# სიონის მეტოქე

## პუხოვი

პუხოვი, სლოვაკეთი
დაარსდა 1920 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ვლასტიმილ შამანეკი
გენერალური მდივანი: პავოლ ჰოლეშჩაკი
მთავარი მწვრთნელი: იოზეფ შურანი
სტადიონი: „ტოტალ სტადიუმი" (ტევადობა 6 614)
ქვეყნის თასის მფლობელი(1): 2003
უეფას თასზე:
8 თამაში: 2 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება; ბურთები 8:14

**მეკარეები:** მარტინ მიშჩიკი, მიროსლავ ვალახი, ტომაშ ბერნადი;
**მცველები:** იოზეფ მუჟლაი, მარიო ბრეშკა, იურაი შკრიპეცი, ლუბოშ პერნიში, იოზეფ პრივარჩაკი;
**ნახევარმცველები:** იგორ ჰოლჩიკი, ონდრეი შატკა, პავოლ ვავრიკი, რომან კადლეცი, მარიო ზაჯატერნიკი;
**თავდამსხმელები:** რობერტ ოჟადი, ივან კოვაჩი, ზდენო შტრბა, ივან ბელიაკი, მილან იამბორი, იოზეფ ბუგალა, პეტერ ვავრიკი, ლუბომირ ტალდა



პუხოველმა მატადორებმა თავის დროზე ბუნდესლიგელ „ფრაიბურგსაც" აუწეწეს ნერვები

### საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | |
|---|---|
| პუხოვი (სლოვაკეთი) | სიონი (საქართველო) |
| ლანსი (საფრანგეთი) | ტორპედო (საქართველო) |
| აიკ (შვედეთი) | ფილკირი (ისლანდია) |
| ვლაზნია (ალბანეთი) | დანდი (შოტლანდია) |
| ლევადია (ესტონეთი) | ვარტექსი (ხორვატია) |
| სანტა კოლომა (ანდორა) | ? (დანია) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | ანართოსისი (კვიპროსი) |
| ბანანცი (სომხეთი) | ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) |
| ? (დანია) | დინამო (მინსკი, ბელარუსი) |
| მალმიო (შვედეთი) | პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) |
| დინამო (რუმინეთი) | მეტალურგსი (ლატვია) |
| ლა ვალეტა (მალტა) | ქსამაქსი (შვეიცარია) |
| კერნტენი (ავსტრია) | გრინდავიკი (ისლანდია) |
| ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | ჟენისი (ყაზახეთი) |
| სარაევო (ბოსნია) | სარტიდი (სერბეთი) |
| აპოელი (კვიპროსი) | დერი სიტი (ირლანდია) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | ზიმბრუ (მოლდოვა) |
| ნემანი (ბელარუსი) | სტიაუა (რუმინეთი) |
| ეტცელა (ლუქსემბურგი) | კამენ ინგრადი (ხორვატია) |
| მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | ლანსანტფრეიდი (უელსი) |
| მიოლდე (ნორვეგია) | კლაქსვიკარი (ფარერები) |
| ? (დანია) | ტვმკ (ესტონეთი) |
| ვენტსპილსი (ლატვია) | პლოცკი (პოლონეთი) |
| მიუპა (ფინეთი) | იანგ ბოისი (შვეიცარია) |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) | დნიპრო (უკრაინა) |
| კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) | ლეირია (პორტუგალია) |
| გროცლინი (პოლონეთი) | ატლანტასი (ლიტვა) |
| დინამო (ალბანეთი) | ლოკერენი (ბელგია) |
| ქუიმბრან თაუნი (უელსი) | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) |
| პუბლიკუმი (სლოვენია) | ბელასიცა (მაკედონია) |
| ცემენტარნიცა (მაკედონია) | კატოვიცე (პოლონეთი) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | ნისტრუ (მოლდოვა) |
| ეკრანასი (ლიტვა) | დებრეცენი (უნგრეთი) |
| ბირკირკარა (მალტა) | ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| ჰაკა (ფინეთი) | ჰაიდუკი (ხორვატია) |
| ტორპედო (რუსეთი) | დომანანო (სან მარინო) |
| ატირაუ (ყაზახეთი) | ლევსკი (ბულგარეთი) |
| ოლიმპია (სლოვენია) | შელბურნი (ირლანდია) |
| ? (დანია) | შირაქი (სომხეთი) |
| პეტრჟალკა (სლოვაკეთი) | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) |
| რუნავიკი (ფარერები) | ლინი (ნორვეგია) |

*პირველი მატჩები — 14 აგვისტო, საპასუხოები — 28 აგვისტო*

# პატარა ძველი და ქინიანი

**ვისაც** „რაჭა ჩემი სიყვარული" უნახავს, ქართველ და სლოვაკ რაჭველთა ჩახუტების ამბავიც ეცოდინება. ჰოდა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ამბავს ეგებ გაგრძელებაც მოჰყვეს...

საუეფასთასო ნიონურმა კენჭისყრამ გუშინ ერთმანეთისთვის უცნობი ორი გუნდი დააწყვილა — პუხოვის „მატადორი" და ბოლნისის „სიონი". ბოლნისელები და პუხოველები გაიცნობენ ერთმანეთს და ბევრ საერთოს აღმოაჩენენ.

პუხოვთან ახლოს ჩეხეთის საზღვარია, ბოლნისთან — აზერბაიჯანის. პუხოვი პატარა, 10-ათასიანი ქალაქია, ბოლნისში 3-4 ათასით მეტი ცხოვრობს. პუხოვში მთები, მონასტრები და არქეოლოგიური სიძველენია, ბოლნისში უძველესი, ისტორიული სიონია, მთაც და ბუნებაც ლამაზია და იქაც თხრიან — ოქროს კარიერებიც იქვეა. პატარა პუხოვში ბარაქიანი ვენახები ჰქონიათ, ღვინო ბოლნისშიც არ დაეწურებათ.

სლოვაკები ამბობენ, რომ „პუხოვი" ქინიანი პერიფერიული გუნდია, „სიონიც" ხომ ასეთად დაგვამახსოვრდა გასულ ჩემპიონატში. მომავალ მეტოქეებს კიდევ ისა აქვთ საერთო, რომ ქვეყნის თასზე სტაბილური თამაშის წყალობით უწიეს უეფას თასს — 8 მაისს „პუხოვმა" დიდი ბრძოლა გადაიხადა სლოვაკური თასის ფინალში ბრატისლავის „სლოვანთან". იმ მატჩის შედეგმა სლოვაკეთში ისეთივე რეზონანსი გამოიწვია, როგორც ჩვენში „სიონის" უეფას თასზე გასვლამ — პატარა პუხოველებმა უგოლო 90 წუთის შემდეგ დამატებით დროში სძლიეს სახელოვან მეტოქეს.

სლოვაკურ ჩემპიონატში გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა — კიდევ ერთი მსგავსება „სიონთან". აკი ბოლნისელებმაც მეხუთეზე ჩაამთავრეს შინაური პირველობა.

პუხოველები ბოლო ტურში 0:4 დამარცხდნენ სტუმრად „სპარტაკთან", თუმც მაშინ პატარა გუნდის უეფას თასზე გასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო.

„სიონისგან" განსხვავებით, სლოვაკებს ერთგვარი ევროგამოცდილება აქვთ. გუნდმა შარშანწინ და შარშან ზედიზედ ორჯერ ითამაშა უეფას თასზე.

2000-2001 წლების სეზონში პუხოველებს მალტის „სლიემა უონდერერზი" ერგოთ მეტოქედ. ფავორიტმა შინ 3:0 იმარჯვა, სტუმრად მოულოდნელად 1:2 დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გავიდა და იქ ქართველებს გადაეყარა — „პუხოვის" მეტოქე „ფრაიბურგი" იყო. სლოვაკებთან კობიაშვილმა, იაშვილმა და ცქიტიშვილმა ორივე მატჩში ითამაშეს და დიდი ბრძოლა გადაიტანეს. სლოვაკური უგოლო ფრის შემდეგ „ფრაიბურგმა" გაჭირვებით იმარჯვა შინ 2:1.

წინა სეზონში „პუხოვმა" კვლავ უეფას თასზე ითამაშა, გუნდმა 2001-02 წლების სეზონში ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა და ამ გზით მოახერხა ევროტურნირზე მოხვედრა. პუხოველებმა პირველი ეტაპის გადალახვა შარშანაც შეძლეს — ყაზახეთის „ატირაუსთან" სტუმრად 0:0 ითამაშეს, შინ კი 2:0 იმარჯვეს.

მომდევნო ეტაპზე კი შანსი არ ჰქონია — მრისხანე „ბორდომ" ორი მატჩის ჯამში 10:1 დაიფრინა სლოვაკები. „პუხოვ-მატადორის" მწვრთნელი იოზეფ შურანია. გუნდს ორი მეგოლე ჰყავს, ლუბოშ პერნისი და მარიო ბრეშკა. პერნისმა ჩემპიონატში 15 ბურთი გაიტანა, ბრეშკამ — 9. სწორედ ამ ორის გოლებით შეძლეს პუხოველებმა სლოვაკეთის თასის მოგება.

**პაატა ძმანტალიანი**

# უეფას თასი 2003-2004

UEFA CUP

# ტორპედოს მეტოქე

## ნახევარი სენეგალის ნაკრები თეთრი ქვების ფონზე

**ლანსი**

ლანსი, საფრანგეთი
დაარსდა 1906 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ჟერვის მარტელი
გენერალური მდივანი: ლუი პლები
მთავარი მწვრთნელი: ჟოელ მიულერი
სტადიონი: „სტად ბოლერი" (ტევადობა 40 000)
ქვეყნის ჩემპიონი (1): 1998
ქვეყნის თასის მფლობელი(1): 1948
ლიგის თასის მფლობელი(1): 1999
ჩემპიონთა თასზე:
12 თამაში; 4 მოგება, 4 ფრე, 4 წაგება; ბურთები 16:17
თასების მფლობელთა თასზე:
4 თამაში; 1 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება; ბურთები 10:7
უეფას თასზე:
36 თამაში; 15 მოგება, 10 ფრე, 11 წაგება; ბურთები 64:41

**მეკარეები:** გიიომ ვარმუზი, შარლ იტანჟე, ჟო ქენონი;
**მცველები:** დაუდა ჟაბი, როდ ფანი, ლუდოვიკ დელპორტი, პაპე სარი, ჟოსელინ ბლანშარი, ადამა კულიბალი, ფერდინანდ კოლი, რიგობერტ სონგი, ზუმანა კამარა, აბდელმაჯიდ ულმერი;
**ნახევარმცველები:** სებასტიან შაბერი, აბდულაიე დიანე ფეიე, იან ლაშუერი, შარლ-ედუა კორიდონი, პაპე ბუბა დიოპი, იაცეკ ბაკი, სირილ რული, სტეფან პედრონი, იაზიდ კაისი, ტონი ვერელი;
**თავდამსხმელები:** ერიკ სიკორა, ჟონ უტაკა, ანტუან სიბიერსკი, ესტებან ფუერტესი, ხეიდუ კეიტა, დანიელ მორეირა, დაგუ ბაკარი, ოლივიე ტომერი, იბრაჰიმ ნდიაიე

ლანსი ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქია. „რასინგ კლუბი ლანსი" 1906 წელს იქაური კოლეჯის სტუდენტებმა დააარსეს. თავიდან არტუას რეგიონულ ლიგაში თამაშობდნენ და წითელ-ყვითელი (სისხლი და ოქრო) ფერებითაც შეიმოსნენ. 1926-ში რეგიონალლიგაში ჩემპიონები გახდნენ.

1934 წელს მეშახტეთა კავშირის დახმარებით პროფესიულ კლუბად მოინათლა. ამ საქმეს ფელიქს ბოლერი თაოსნობდა, რომელიც 1936-ში გარდაიცვალა. სწორედ მისი სახელობისაა „ლანსის" სტადიონი.

იმ პერიოდში „წითელ-ყვითლები" ჩრდილოეთ საფრანგეთში ზეობდნენ და 1937 წელს მეორე დივიზიონიდან პირველში აინაცვლეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩვიდმეტი წლის მანძილზე უძლიერესთა შორის იმყოფებოდნენ, მაგრამ შემდეგ ოთხი სეზონი ქვედა დივიზიონში გაატარეს.

ქვემოდან ამობრუნებული დღემდე მხოლოდ ორჯერღა ჩაეშვა მეორე დივიზიონში, 1991 წლიდან კი პირველი ლიგის უცვლელი ბინადარია.

ბოლო 10 სეზონში „ლანსი" მუდმივად ლიდერთა სიახლოვეს ტრიალებდა და მეათე ადგილს ორჯერ ჩასცდა. მეორე ჩავარდნის წლისთავზე „წითელ-ყვითლებმა" საფრანგეთის ჩემპიონობას პირველად გამოჰკრეს ხელი. „ლანსმა" და „მეცმა" 1998-ში თანაბარი ქულები დააგროვეს. ჩემპიონობა ლანსელებს ოდენ ბურთების უკეთესი სხვაობით ერგოთ. იმავე წელს საფრანგეთის ლიგის თასის ნახევარფინალში გაღწია, თუმცა პსჟ-მ სძლია. სამაგიეროდ, მომდევნო სეზონში წადილი აისრულა, ლიგის თასის ფინალში „მეცი" დაამარცხა და ორ წელიწადში მეორე ჯილდო მიითვალა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი, 51 წლის ჟოელ მიულერი „ლანსში" 2001 წლის სეზონის დასაწყისში მივიდა. მანამდე თერთმეტი წლის მანძილზე, იმ „მეცში" მუშაობდა, რომელსაც „ლანსმა" ბურთების სხვაობით აჯობა.

ჟოელ მიულერს, როგორც მოთამაშეს, ცამეტი წელი „მეცში" უბურთავია. მან შარშანვე მოახერხა „ლანსის" ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა: მისმა გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და „ლიონს" ორი ქულით ჩამორჩა.

„ლანსმა", ისევე როგორც „დეპორტივომ", „რეალმა" და „დორტმუნდმა", წლევანდელ ლიგაში „მილანი" დაამარცხა. ჩემპიონთა თასის ამჟამინდელ მფლობელებს ფრანგულმა გუნდმა შინ 2:1 მოუგო, არადა, მატჩის მსვლელობისას აგებდა.

ჩემპიონთა ლიგის გადამკიდე „ლანსმა" შარშანდელი სეზონი კარგად ვერ დაიწყო. მეორე წრეში, გაზაფხულზე, უკეთ ათამაშდა, მაგრამ მერვე ადგილს მაინც ვერ გასცდა. „ლანსი" უეფას „ფეირ პლეის" ნუსხაში აღმოჩნდა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ლანსელები ევროთასებზე 1975 წელს გამოჩნდნენ და პირველივე წრეში ჰოლანდიურ „დენ ჰაგთან" დამარცხდნენ.

1977-ში უეფას თასიც დააჭაშნიკეს. „მალმოს" ძლევის შემდეგ რომის „ლაციოს" გადაეყარნენ. პირველ მატჩში შინ 0:2 დამარცხდნენ, მაგრამ სტუმრად სენსაცია გამოაცხვეს, 6:0 გაანადგურეს მეტოქე, თუმც მომდევნო ბარიერი ვეღარ გადალახეს.

შარშან ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან უეფას თასზე გადაინაცვლა. საინტერესოა, რომ ფრანგები თასის მომავალ მფლობელებს შეხვდნენ. შინ „პორტუს" 1:0 მოუგეს, მაგრამ სტუმრად პორტუგალიელებმა 3:0 გაიმარჯვეს.

თავის დროზე, 1978-79 წლებში, „ლანსი" თვით როჟე ლემერს გაუწვრთნია. მოგვიანებით (1982-85) „წითელ-ყვითლები" სამი წლით ჟერარ ულიემ ჩაიბარა, 1997 წელს კი გუნდს როჟე ლემერი კვლავ ერთი სეზონით დაუბრუნდა.

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე სენეგალის ნაკრებში სწორედ ლანსელები ბრწყინავდნენ. ქომაგებს ალბათ ეხსომებათ სენეგალელთა ჯილა, ფერდინანდ კოლი, რომელიც მეტოქის ნებისმიერი თავდამსხმელისთვის გაუვალი ჯებირი იყო. სალაფ დიაო და ელ-ჰაჯი დიუფიც ლანსელები იყვნენ, ახლა კი „ლივერპულის" მაისურები აცვიათ.

განვლილ სეზონში „ლანსი" განსაკუთრებით დაცვის სიძლიერით გამოირჩეოდა. საფრანგეთის პირველ დივიზიონში გაშვებული გოლების ოდენობით (38 მატჩში 31) მხოლოდ „ოსერს" (29) ჩამორჩა. „წითელ-ყვითლების" კარში გოლების გატანა გაცილებით რთულია მაშინ, როცა სტუმრად თამაშობენ. ამ მაჩვენებლით (19 მატჩში 15) საფრანგეთში ბადალი არ ჰყავთ. აქვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მაღალი კლასის ფორვარდების ყოლისა, 38 შეხვედრაში ოდენ 43 გოლის გატანა მოახერხეს.

ჟოელ მიულერი, ზოგადფრანგული ყაიდისგან განსხვავებით, მკაცრი დაცვით და კონტრშეტევებზე სწრაფი თავდამსხმელებით თამაშს არჩევს. დაცვის ბურჯი კამერუნელი რიგობერტ სონგია, რომელსაც „ლივერპულის", „ვესტ ჰემისა" და „კიოლნის" სკოლა გაუვლია.

„ბაიერნისა" და „მილანის" ქომაგებს ლანსელი ფორვარდი ჯონ უტაკაც ეხსომებათ, რომელმაც მიუნხენელები და მილანელები თითო გოლით „დააჯილდოვა".

ვისაც საფრანგეთის ჩემპიონატის ყურება არ ეზარება, ანტუან სიბიერსკი და დანიელ მორეირაც ეცოდინება. მორეირამ ჩავლილ ჩემპიონთა ლიგაში ოთხი გოლი მიითვალა. ეს თავდამსხმელები, შესაძლოა, ამ ზაფხულს სარფიანად გაყიდონ.

ამჟამად კლუბი 31 ფეხბურთელს ინახავს და მათ შემცირებას ეშურებიან. დიაოსა და დიუფის სარფიანად გაყიდვამ და ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობამ ლანსელთა ბიუჯეტი 54 მილიონამდე გაზარდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ხარჯების შემცირებას ცდილობს, რადგან უეფას თასი ლიგასავით მომგებიანი არ არის. ამჟამად ლანსელებმა 18 წლის ფინელი მეკარე შეიძინეს „პიკიდან" და საკუთარი სკოლის აღზრდილებს — მუნირ დინესა და ალესანდრო ფურტადის მთავარ გუნდში უხმეს.

აი, ასეთია „ლანსი" და ქუთაისში ჩამოსვლამდე როგორ შეიცვლება, არ ვიცით.

**გაგა ხუციშვილი**



ჯონ უტაკა ევროპამ ჩემპიონთა ლიგიდან გაიცნო

*ქართულ გუნდთაგან ევროთასების გუშინდელ წილისყრაზე თუ რომელიმეს არ გაუმართლა, უპირველესად ქუთაისის „ტორპედოს". საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩემპიონთა ლიგაში ნაწრთობ ფრანგულ „ლანსს" შეეჯახა.*

*აქედან გამომდინარე, რიონისპირელთა შანსებზე საუბარი ალალად უადგილო გვგონია. მართალია, ბურთის სიმრგვალის შესახებ ქუთაისშიც კარგად უწყიან, მაგრამ... საკამათო არაა, „ლანსი" ამ წყვილის აშკარა ფავორიტია.*

*„ტორპედომ" კი გუშინ დაასრულა შვებულება. გუნდი მშობლიურ საღორიის ბაზაზე შეიკრიბა და სეზონისთვის მზადება ორჯერადი ვარჯიშით დაიწყო.*

*გუშინვე ქუთაითურთა თავკაც სოსო ფრუიძეს შევეხმიანეთ და საუეფასთასო მეტოქის გარდა გუნდში მიმდინარე ამბებზეც დავეკითხეთ.*

# ზოგჯერ შანსია, ზოგჯერ ლანსია

## ახალი ხალხის ძიებაში ფრუიძეს ახალკაცი წაუვიდა



ბადრი ქეთილაძის ფოტოები



**— ფაქტია, წილისყრაზე არ გაგიმართლათ...**

— ბედმა რაც გვარგუნა, ეგ არის. რას ვიზამთ, აწი ვერაფერს შევცვლით.

**— მაინც რას ფიქრობთ „ლანსთან" ორმატჩიან სერიაზე?**

— გაგიკვირდებათ, მაგრამ, ჩემი აზრით, კარგია, ასე რომ მოხდა. სხვებთან თამაშს ისევ „ლანსი" ჯობდა.

**— რატომ?**

— თავადაც იცით, რა დონის კლუბია „ლანსი". ასეთ გუნდთან თამაში კი ძალიან სასარგებლო და ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს. ბიჭები მიხვდებიან, რა ხდება თანამედროვე ფეხბურთში, რას უნდა მიაქციონ ყურადღება, რა აკლიათ, როგორც ფეხბურთელებს. ვფიქრობ, „ლანსთან" თამაშით ბევრი უნდა ვისწავლოთ.

**— შანსებზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია...**

— ამისთვის დროის დახარჯვა ნამდვილად არ ღირს. ერთი რამ ფაქტია, ჩვენ რაც შეგვეძლება, მოედანზე დავდებთ. დასაკარგი რომ არაფერი გვაქვს, ყველამ კარგად იცის. ამიტომ ვეცდებით, ბოლომდე დავიხარჯოთ. სხვა გზა, უბრალოდ, არ გვაქვს.

**— ცხოვრება მარტო „ლანსი" არ არის. ახლა რას შვრება „ტორპედო"?**

— დღეს შევკრიბე ბიჭები და მზადებაც დავიწყეთ.

**— რამდენი ფეხბურთელია ამჟამად გუნდში?**

— სულ 25 ფეხბურთელი ვარჯიშობს, თუმც, ცხადია, მათი რიცხვი შემცირდება. ვნახოთ, კიდევ თუ შევძელით ახალი ფეხბურთელის შემატება, ამას რა აჯობებს.

**— კონკრეტულად ვისზე ამბობთ?**

— შესაძლოა, რევაზ ქემოკლიძე დაგვიბრუნდეს. ის ჯერაც უცხოურ ვარიანტებს ელის და თუ არ გამოუვიდა, მაშინ ალბათ „ტორპედოში" ითამაშებს.

**— გია იმედაძეზე რას იტყვით?**

— არ ვიცი. იმედაძის თაობაზე არაფერი გამიგია.

**— გუნდი ვინ დატოვა?**

— ზურაბ იონანიძისა და რომან ახალკაცის გარდა ყველა „ტორპედოშია". თავადაც იცით, იონანიძემ „ტავრიას" მიაშურა, ახალკაცი კი ალბათ მოსკოვის „ლოკომოტივში" გადავა.

**— ახალკაცის ტრანსფერი რეალურია?**

— როგორც ვიცი, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დიდი შანსია, მან მოსკოვს მიაშუროს. „ლოკომოტივში" იჯარის წესით განათხოვრებაზეა ლაპარაკი.

**— ანდრი პოროშინი თუ ჩამოვიდა უკრაინიდან?**

— არა. პოროშინს ჩვენთან არაფერი აკავშირებს. მას კონტრაქტი დაუმთავრდა.

**— ესე იგი, უკრაინელს საბოლოოდ გამოეთხოვეთ?**

— ჯერჯერობით არ ვიცი. პოროშინი შეგვპირდა, რომ ჩამოვიდოდა და კლუბთან კონტრაქტს გააგრძელებდა, მაგრამ ფაქტია, ჯერ არ გამოჩენილა.

**— შეკრებას სად გაივლით?**

— 6 ივლისს მივემგზავრებით ბულგარეთის ქალაქ ალბენაში, სადაც ორ კვირას დავყოფთ. ჯერჯერობით ესაა დაგეგმილი.

**— გასულ სეზონში ბევრი ამბობდა, „ტორპედოს" ფინანსურად უჭირსო. ახლა როგორაა ამ მხრივ საქმე?**

— ყველაფერი რიგზეა. დავალიანებებიც თითქმის გასტუმრებულია. თავზე ნაღდად არ გადაგვდის, მაგრამ გუნდს რაც სჭირდება, ყველაფერი გვაქვს.

**ბახა შალამბერიძე**

კვირა 22 ივნისი
შევარდენის სტადიონი
მიხეილ მესხის თასის
ნახევარფინალი
**მერდი — დინამო**
დასაწყისი 19 საათზე

# ჩხაიძემ ლომაიას შემადგენლობა ჩააბარა სანამ არველაძე მოვა

## დინამო ლოკომოტივს: გვათხოვეთ სირაძე და ნაკრების მეკარე



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გიორგი ლომაია

**ჯერ კიდევ** მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულებამდე დაშლილი და მერე უმწვრთნელოდ დარჩენილი „ლოკომოტივი" საახალსეზონოდ გუშინ პირველად შეიკრიბა. უფრო სწორად, თხუთმეტი რკინიგზელი ფეხბურთელი ჯერ ვაკის სტადიონზე მოგროვდა, რამდენიმე წუთში კი რკინიგზის დეპარტამენტისკენ გაეშურა. გიორგი ლომაია, ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე, როინ ონიანი, მურთაზ ბურნაძე, რომან გოგინაშვილი, მიხეილ სოსელია და დავით სირაძე — „ლოკომოტივის" ნაცადი ფეხბურთელები და კიდევ შვიდი ფარმკლუბელი კლუბის პრეზიდენტის აკაკი ჩხაიძის კაბინეტს მიადგა.

რკინიგზელთა თავკაცმა გამოცდილები სათითაოდ მიიღო და გაესაუბრა, მერე დანარჩენებსაც უთხრა ორიოდ სიტყვა და შეხვედრის დასასრულს გასაოცარი ამბავი გამოაცხადა: „ლოკომოტივის" ახალი მწვრთნელი ოფიციალურად 23 ივნისს დაინიშნება, მანამდე კი ჩვენი და ეროვნული გუნდის მეკარე გიორგი ლომაია გავარჯიშებთო.

რას ვერჩით, კაცია და გუნება, ლომაიასაც, ალბათ, არ გაუჭირდება ორი დღე თანაგუნდელებს ოფლი აღვაროს, მით უმეტეს, უკვე თანაშემწეებიც შეურჩევია. მწვრთნელობაში დავით სირაძე და როინ ონიანი დაეხმარებიანო. ეს ამბავი ლომაიას და მის „თანაშემწეებს" რომ ეთქვათ, ხუმრობად მივიჩნევდით და გაგვეცინებოდა, მაგრამ იგივე „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმაც დაადასტურეს და სხვა რა გზაა, უნდა ვირწმუნოთ.

ვიდრე რკინიგზელთა ნამდვილი მწვრთნელის ვინაობას გაგიმხელდეთ, მანამ ის ვთქვათ, რომ „ლოკომოტივის" დროებით თავკაცს და მის ერთ თანაშემწეს „დინამო" უპირებს გადაბირებას. ლომაიას და სირაძეს ივო შუშაკი ითხოვს, თუ ჩემპიონთა ლიგაზე ოცნება გსურთ, ორივე რკინიგზელი მომიყვანეთო. შუშაკის მოთხოვნას „დინამოს" ხელმძღვანელები ჩხაიძესთან მიუყვანია.

რკინიგზის დეპარტამენტის შეფი თანახმაა, კლუბის ორი საუკეთესო ფეხბურთელი „დინამოში" იჯარის წესით გაასხვისოს, მაგრამ მეთოხუთმეტე ჩემპიონატში „ლოკომოტივში" უნდა ითამაშონო. ასეთია აკაკი ჩხაიძის გადაწყვეტილება, რომელიც სირაძეს და მით უმეტეს, ლომაიას ვერ მოხიბლავდა. დავითი დღე-დღეზე გერმანული ვარიანტის მოლოდინშია, ხოლო გიორგის კიევში თითქმის გამზადებული კონტრაქტით ელიან.

რკინიგზის დეპარტამენტში მოწყობილ აუდიენციას გუშინ არ ესწრებოდა ვლადიმერ კაკაშვილი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა და ყოფილ რკინიგზელებთან, კვარაცხელიასთან და ჭიჭვეიშვილთან ერთად ვაკის პარკის მიდამოებში ვარჯიშობდა.

ახლა კი „ლოკომოტივის" ახალი მწვრთნელის ვინაობაც გავამხილოთ. თუ კლუბის თავკაცთა გუშინდელ ნათქვამს ვერწმუნებით, მაშინ ორშაბათიდან რკინიგზელთა გუნდში პირველი კაცი რევაზ არველაძე იქნება, ვისაც მწვრთნელობაში გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე დაეხმარებიან.

აკაკი ჩხაიძემ უფროს არველაძესთან ნდობით აღჭურვილი პირი გუშინ მიაგზავნა. გუშინვე ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ და ორმხრივი თანამშრომლობის დეტალები დაეზუსტებინათ.

ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ტყებუჩავა არველაძის თანაშემწეობასთან ერთად ფარმკლუბის გაწვრთნასაც შეითავსებს, ხოლო ნიკა ჩხაიძე მეკარეებს ორივეგან ავარჯიშებსო.

**მამუკა ძვანტალიანი**

# კარნევალის ავსტრიაში თვრამეტიც ეყოფა

**ინტერტოტოს თასის** გათამაშების პირველ ეტაპზე ავსტრიულ „პაშინგთან" სათამაშოდ ჩვენებური „ვიტ ჯორჯია" დღეს მიემგზავრება. ვეტერინარები თბილისი-პრაღის ავიარეისით ჯერ ჩეხეთის დედაქალაქში ჩაფრინდებიან, იქიდან კი ავტობუსით ქალაქ ლინცში ჩავლენ და იქვე ოთხვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდებიან.

„ვიტ ჯორჯია" „შვანენშტადტის" სტადიონზე დღეს საღამოსვე ივარჯიშებს, ხვალ „პაშინგთან" თამაშია, ზეგ ვეტერინარები ისევ ივარჯიშებენ, ხოლო 24 ივნისს დილით შინისკენ გამოსწევენ.

გუშინ კი იტალიელმა ჯანი კარნევალიმ იმ 18 ვიტელის ვინაობა გვითხრა, ვინც ავსტრიაში იახლა.

*მეკარეები: მერლანი, მამარდაშვილი;*

*მცველები: ლევან მერებაშვილი, კობიაშვილი, მუჯირი, კვახაძე გველესიანი, ინწკირველი;*

*ნახევარმცველები: ფეიქრიშვილი, ნოზაძე დათუნაიშვილი, დოლიძე ბოლქვაძე დიღმელაშვილი;*

*თავდამსხმელები: გოჩაშვილი, მელქაძე ერეკლე მერებაშვილი, მარცვალაძე;*

კარნევალიმ უარი თქვა ოთხი ყოფილი თსუ-ელის სამსახურზე, მეკარე ჭრიკიშვილი, მცველი ქუხილავა, ნახევარმცველი კვარაცხელია და ფორვარდი სახოკია თბილისში რჩებიან. თანაგუნდელებს ვერაფრით დაეხმარება შემტევი გიორგი ადამია, რომელსაც მტკივანი კოჭი ჯერაც ვერ მოუშუშებია და, სავარაუდოდ, „პაშინგთან" საპასუხო თამაშსაც გამოტოვებს.

ვიტელთა იტალიელმა თავკაცმა ავსტრიაში მცველი იმედაშვილი რომ არ იახლა, გასაგებია, მაგრამ ყოფილი კაპიტნის, ყიფიანის წაყვანა რომ არ ინება, ნამდვილად გასაკვირია.

„ვიტ ჯორჯია" „პაშინგთან" საპასუხო მატჩს 29 ივნისს „ეროვნულზე" ითამაშებს.

**მამუკა ძვანტალიანი**

*მოძიგძიგე სეზონი ჰქონდა შოთა არველაძეს. აქეთ სამი შოტლანდიური ტიტული, იქით ივო შუშაკის კედელზე გაკრული სარუსეთო თერთმეტეული და დიღომის ბაზიდან აბარგება, კიდევ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა „რეინჯერსში" და 16 გოლი, მოწამვლა და საავადმყოფო დუბლინში...*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# იუმორს ვერავინ ამიკრძალავს

## 33 წლის დე ბური ქართულ ვიაგრას იყენებს

**— 30 წლის ხარ, მაგრამ ისეთი სეზონი გქონდა, რომ ალბათ რაღაც გამოცდილება შეგძინა...**

— ზოგადად, ყოველ სეზონში ახალ გამოცდილებას იძენ. ეგაა, „რეინჯერსში" გაცილებით მეტი გოლი უნდა შემეგდო, მაგრამ მეორე წრეში ტრავმებმა შემიშალეს ხელი, ამის გამო იყო, ხუთ მატჩში საწყის თერთმეტეულში რომ ვერ ვხვდებოდი. რაც შეეხება ნაკრებში რუსეთთან თამაშის წინ მომხდარ ინციდენტს, ეს უბრალოდ გაურკვევლობა იყო. „ტრაბზონსპორში" სამი მწვრთნელის ხელში გავიარე, „აიაქსში" ოთხის, „რეინჯერსში" ორის — ისინი სხვადასხვა ეროვნების ხალხნი იყვნენ და არც ერთ მათგანთან მსგავსი რამ არ მომსვლია. ასე რომ, რაც მე და გიორგი ქინქლაძეს ახლახან შეგვემთხვა ნაკრებში, ასე ვთქვათ, ქართული კაპრიზი სულაც არ ყოფილა, ჩვენ არაფერი არ გამოგვიგონებია. ისე კი, საერთო ჯამში, მსგავსი გაუგებრობების დროს დამნაშავე მაინც ფეხბურთელია.

**— საკლუბო კარიერა წარმატებით მიგდის, ნაკრებში თემურ ქეცბაიასთან ერთად ყველაზე მეტი გოლი გაქვს გატანილი, მაგრამ ჩვენი ეროვნული გუნდი შესარჩევ ციკლს ვერა და ვერ ძლევს — ეროვნული მომენტი გვერდზე გადავდოთ და, კიდევ გაქვს სურვილი ნაკრებში ითამაშო? საამისოდ რა სპორტული მოტივაცია გამოძრავებს?**

— თამაში კიდევ შემიძლია და თან ძალიან მინდა კვლავაც გამოვადგე ნაკრებს. შეკითხვის არსი კარგად გავიგე, მაგრამ ყველაფერს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. განვლილი ოთხი შესარჩევი ციკლიდან სამ მსოფლიოს ჩემპიონ ნაკრებს გადავეყარეთ. თანაც თავიდან ძალიან გამოუცდელები ვიყავით. რაც შეეხება მომავალს, ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალური შედეგები მაძლევს იმის იმედს, რომ ნაკრები წარმატებით ითამაშებს. ქართველებს, როგორც ინდივიდებს, სპორტში საკმაოდ დიდი წარმატებები აქვთ — ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება ხომ სულ სხვა, განსაკუთრებული ფენომენია თანამედროვე სპორტში.

**— გასაგებია, მაგრამ ერთია „მილანი", „რეინჯერსი" და „შალკე" — ქართველი ლეგიონერების დანარჩენი კლუბები ხომ არცთუ სახელიანები არიან...**

— მერე რა, ხვალ ხიზანიშვილი გადავა დიდ გუნდში, მალე ამას ასათიანიც მოახერხებს, ზეგ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი და თაობა აუცილებლად დაიჭერს თავის მომენტს. ყველა სახელიანი ლეგიონერი ხომ საქართველოდან, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიდან გაიჭრა წინ და ეს სულაც არაა იოლი. თანაც სპორტის გუნდურ სახეობებში ქართველებს არცთუ დიდი წარმატებები გვაქვს. ფეხბურთში კი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი არ გამხდარა, თორემ სხვა ყველა ტიტული მოუხვეჭია.

**— ირლანდიასთან მატჩზე რას იტყოდი?**

— ჩვენ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა, ანუ ის ფეხბურთელები, ვინც გუნდის ხერხემალს წარმოადგენენ. გამოაცალეთ ხერხემალი ნებისმიერ გუნდს და ნახავთ, რა დღეში აღმოჩნდება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ნაკრებში სამედიცინო პრობლემაა გადასაჭრელი — გუნდს შესაბამისი სამედიცინო ბაზა ჯერაც არ გააჩნია.

**— ივო შუშაკის ხელმძღვანელობით ირლანდიასთან ნაკრებში პირველად ითამაშე. როგორ ფიქრობ, რა გემოვნების მწვრთნელია შუშაკი?**

— ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელი და გემოვნება სხვადასხვა რამეა. ნაკრებში გუნდის კონკრეტულ თამაშამდე მიყვანაა საჭირო. ამ დროს ყველაფერი გემოვნებიდან კი არა, კონკრეტული მატჩიდან გამომდინარეობს.

**— შოთა არველაძეს ყველა თავისებურად აღიქვამს. ზოგი იმასაც კი ამბობს, შოთა ნაკრებში სულ ოხუნჯობს და ამით გუნდში ცუდ დისონანსს ჰქმნისო.**

— ირლანდიაშიც კი ვლაღობდი და თუ არ გჯერათ, შუშაკს ჰკითხეთ. იუმორს ვერავინ ამიკრძალავს. მაშინ უნდა იხუმრო და გაიცინო, როცა ამის მომენტია, მაგრამ ჩემი იუმორი არასდროს არ გადასულა თავხედობაში. „დინამოშიც" და ნაკრებშიც სულ ძმაკაცურად ვართ და იუმორის გარეშე როგორ ვიქნებოდით?!

**— რეინჯერსულ ამბებზე გადავერთოთ. ჩემპიონები გახდით და, ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგას უმიზნებთ — კლუბში ინვესტიციების გაზრდა მოხდება?**

— კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით. ის კია, რომ „რეინჯერსმა" ბოლო ორ წელიწადში 87 მილიონი გირვანქა დახარჯა — „სელტიკის" დაჯაბნა ადვილი სულაც არ იყო. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალიან გვინდა და ძალიან კარგი იქნება, თუ ხიზანიშვილს დავიმატებთ.

**— გავიგეთ, შენს რეინჯერსელ და აიაქსელ ძმაკაცს რონალდ დე ბურს ქართული შავი ღვინო ძალიან მოსწონებია...**

— ჩვენებური შავი ღვინო დე ბურს ჯემალ ჩიმაკაძემ აჩუქა და უთხრა, ეს ქართული ვაიაგრააო...

**— „რეინჯერსში" კონტრაქტით კიდევ ორი სეზონი დაგრჩა გასატარებელი. 32 წლის რომ გახდები, კარიერის დამთავრებაზე არ იფიქრებ?**

— მე ისეთ სტილის ფეხბურთელი ვარ, რომ ასე ვთქვათ, ფიზიკის ხარჯზე არ ვთამაშობ. ლეგენდარული აიაქსელი დენი ბლინდი მეუბნებოდა, ითამაშე მანამდე, სანამ შეგიძლია, ამას ვერსად იყიდი და ვერავინ გაჩუქებს, ითამაშე კიდევ ერთი სეზონი, მერე კიდევ ერთი — ბლინდმა ასე 38 წლამდე ითამაშა...

**დავით თავართქილაძე**

# ვარიანტი (არ) არსებობს

## როსტოვმა აშვეთიას ხელი გაუწოდა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**გადაწყვეტილი ამბავია** — მიხეილ აშვეთია და ვლადიკავკაზური „სპარტაკ-ალანია" ორშაბათს, რუსული პრემიერლიგის პირველი წრის დასრულებისთანავე დაემშვიდობებიან ერთმანეთს. „სპარტაკ-ალანიას" ქართველ თავდამსხმელს, რა ხანია, გუნდიდან წასვლა სურს და გულის წადილს რამდენიმე დღეში აისრულებს.

სად გააგრძელებს კარიერას აშვეთია? ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი ჯერაც არ ჩანს, თუმც რუსული პრესა უკვე ოფიციალურად ალაპარაკდა ჩვენებურის „როსტოვში" გადასვლაზე — მხარეებმა ხელი ხელს დაჰკრეს და ეგ ამბავი მოგვარებულიაო. „როსტოვის" აშვეთიათი დაინტერესებაზე „სარბიელი" ადრეც წერდა, თავად ფეხბურთელი კი ახლა ასე ფიქრობს:

— „როსტოვთან" მოლაპარაკება მართლაც არის. ეს კლუბი სერიოზულადაა დაინტერესებული ჩემით, თუმც არც ისეა საქმე, რომ ყველაფერზე საბოლოოდ შეთანხმებული ვიყოთ. ორ-სამ დღეში ამას მოევლება. არც ისაა გამორიცხული, კარიერა საერთოდ სხვა კლუბში გავაგრძელო. ვნახოთ, „როსტოვში" გადასვლა უკვე ჩემზეა დამოკიდებული. თავს მხოლოდ ერთი ვარიანტის გამო ვიკავებ. თუ ის გამოვიდა, მაშინ სხვაგვარად მოვიქცევი. ერთი სიტყვით, ვლადიკავკაზს რომ ვტოვებ, წყალი არ გაუვა."

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ აშვეთიას „სპარტაკ-ალანიასთან" კონტრაქტის ვადა 1 ივლისს ეწურება. ამგვარად, „როსტოვი" თუ...

**კახა ძალამბერიძე**

## კონფედერაციის თასი 2003. საფრანგეთი. 18-29 ივნისი

B ჯგუფი. I ტური

# ე, ტოოო?!

## რონალდინიომ აქეთ იშრიალა, იქით იშრიალა

**ბრაზილია 0:1 კამერუნი**

**0:1 ეტოო (83)**
**ბრაზილია: დიდა, ბელეტი, ჟუანი, კლებერი, ლუსიო, ემერსონი, კლებერსონი (ადრიანო დე სოუზა 80), გილი, რიკარდინიო, რონალდინიო, ადრიანო (ილანი 66)**
**კამერუნი: კამენი, ჩატო, სონგი, ჯერემი, მეტომო, დიუმბე, მბამი, ფოე (ატუბა 64), იდრისუ (ჟობი 67), ჯემბა-ჯემბა, ეტოო (ნდიეფი 90)**
**მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)**
**46 719 მაყურებელი**

**ხუთი წლის წინ,** მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში „სენ დენიზე“ საფრანგეთმა ბრაზილია დაამარცხა. ეს სტადიონი პენტაკამპეონებისთვის ამჯერადაც უიღბლო გამოდგა. კვლავ პარიზში, იმავ მოედანზე ახლა კამერუნთან წააგეს.

კარლოს ალბერტო პარეირამ ტურნირის დაწყებამდე გული დაიარხეინა — შვიდი ახალწვეულის გამოცდას ვაპირებ და თასი თუ ვერ მოვიგეთ, სიმწრისგან ვენებს არ გადავიჭრითო.

მომავალში კამერუნის მოსახლეობას აღარ ეხსომება, რას აპირებდა პარეირა, მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონებთან ეს გამარჯვება კი სამუდამოდ დაახსომდება. ნაკრების მწვრთნელ ვინფრედ შეფერის სახელი, უეჭველია, პატივით მოიხსენიება კამერუნის ფეხბურთის ისტორიაში.

პარიზულ მატჩს ფინტები და ბურთით ჟონგლიორობა არ აკლდა. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი საგოლე მომენტებით ვერ გამოირჩეოდა. მოთამაშენი უმეტესად მინდვრის გულში ჯაჯგურობდნენ და ერთურთის კარებთან ბურთიანად იშვიათად აღწევდნენ.

ბრაზილიელებმა კამერუნელთა ნახევარზე უფრო მეტი დრო გაატარეს, მაგრამ აფრიკელები კარსაცავს გონივრულად აღულაბებდნენ. თვით ყველგან მძრომლავ რონალდინიოსაც არ მისცეს გალაღების საშუალება.

პირველი ნახევრის „გმირი“ პარმელი ადრიანო გახდა. ჯერ იდრის კამენს ათიოდ მეტრიდან უძლიერესად დაურტყა, მაგრამ მეკარემ ბურთი მოიხელთა, მერე კი აფრიკელ მცველს ლლაბუცში მოპარსული თავი გაუტეხა.

აფრიკელები შეტევის იმტაზე ტაიმის მიწურულსღა მოვიდნენ, ხუთწუთიან მონაკვეთში მეტოქე ოდნავ ანერვიულეს, თუმცაღა დიდას საქმე არ გამოსჩენია. მხოლოდ ერთხელ ჩათვლიმეს ბრაზილიელმა მცველებმა. მოპამადუ იდრისუ კარის წინ ეულად დარჩა, მაგრამ ბურთს ფეხი უხეიროდ დაჰკრა.

შესვენებამდე რონალდინიომ მაყურებლებს ტაში მაინც მოსწყვიტა. სამ კამერუნელს ჩაუშრიალა და იდრის კამენს ახლო კუთხეში დაურტყა. მეკარემ ხიფათი კუთხურზე გადააგდო. მაგრამ რუსმა მსაჯმა ვალენტინ ივანოვმა სხვანაირად დაინახა და მსოფლიოს ჩემპიონებს კუთხური არ ჩააწოდებინა.

საგოლე მომენტებით დახუნძლული არც მეორე ტაიმი არ იყო. ტემპი და მოძრაობა კი იცოცხლე, გაგიხარია. გუნდები ამაოდ ეძებდნენ კარის გასაღებს, რომელიც საბოლოოდ სამუელ ეტოომ საჯარიმოს გარეთ იპოვა.

ორივე ნაკრების მცველებმა თავდამსხმელებზე უკეთ ითამაშეს და გოლი თუ გავიდოდა, ალბათ შორეული დარტყმით. სწორედ ასეც მოხდა. შეხვედრის ბოლო ოც წუთში აფრიკულმა ჯან-ლონემ სამხრეთამერიკულს ოდნავ აჯობა. სამუელ ეტოომ და ჟოზეფ-დეზირე ჟობიმ თითოჯერ გაისროლეს ბრაზილიელთა კარისკენ.

შვიდი წუთიღა რჩებოდა მატჩის დასრულებამდე, დიდამ რომ ბურთს თავისი ალაგიდან დაჰკრა და მეტოქე მოდესტ მბამის თავზე დაასვა. მბამიმ ეტოოს გადაუგორა. მალიორკელმა კი რაღაც ჯადომოძრაობით ლუსიო ჩამოიშორა და ოცდაორიოდ მეტრიდან მისმა დარტყმულმა დიდას თავზე გადაუშხუილა.

დარჩენილ დროში, რასაკვირველია, ბრაზილიამ გათანაბრება მოიწადინა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. თავის მხრივ სამუელ ეტოომ მეტოქე კონტრიერიშზე გამოიჭირა, თუმცა მეორე გოლის გატანა დიდამ და ჟუანმა არ დაანებეს.



სამუელ ეტოომ გაიტანა და გაიხადა




REUTERS

კარლოს ალბერტო პარეირა: „ჩემი შეგირდების გარჯით კმაყოფილი ვარ. პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ კამერუნელთა დაცვაც არ იყო ჯაბანი. პირველივე მატჩში მარცხი საწყენი კია, თუმც კიდევ ორი შეხვედრა დაგვრჩა და შანსი კიდევ გვაქვს. მათ განსაკუთრებით მეორე ნახევრის ბოლოს მოუმატეს. ჩვენზე მეტი ჯანი შერჩათ და იძალეს“.

„სენ დენიზე“ შეკრებილმა 46-ათასმა გულშემატკივარმა ვინფრედ შეფერის გუნდი ტაშით გაისტუმრა მოედნიდან. კამერუნელთა მწვრთნელმა თქვა: „ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდა ნაკრები გვყავს. საგანგებოდ ვემზადებოდით და შედეგი თავად ნახეთ. ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით და ხუთი ნახევარმცველით იმიტომ ვითამაშე, რომ მეტოქე მოედნის ცენტრში უნდა მოგვეხრჩო. შესვენების შემდეგ კი ეტოოს მეორე ფორვარდი მივახმარე და საბოლოოდ ჩემი დავალება ფეხბურთელებმა ფრიადზე შეასრულეს“.

**გაგა ხუციშვილი**



REUTERS

ძალა ერთობაშია, თურქებმა ჰაერშიც დამტკიცეს

# თურქების ჰიმნი იოს!

## მსაჯმა ამერიკას პენალტი დაუმალა

**თურქეთი 2:1 აშშ**

**0:1 ბესლი (37), 1:1 ოკან ილმაზი (40პ), 2:1 თუნქჩაი (73)**
**თურქეთი: ომერი, ფათიჰ სონქაია, ალფაი, ბიულენთი, იბრაჰიმი, აჰმეთი (ერგუნი 42), კარადენიზი, არსლანი, სელჩუკი, თუნქჩაი (ტორამანი 84), ოკან ილმაზი (ჰუსეინი 90)**
**აშშ: ჰოვარდი, ბერჰალტერი (ტველმანი 82), კალაიფი, პეიდუკი, ვანეი, არმასი, ბესლი, კონვეი, ლუისი (სტიუარტი 75), დონოვანი, კიროვსკი (მატისი 61)**
**მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)**
**17 000 მაყურებელი**

**შეხვედრის** დაწყებამდე გულშემატკივრებმა ჰიმნები მოისმინეს — ამერიკის ჰიმნი თავიდან ბოლომდე, თურქების მარში კი უეცრად შუაში გაწყდა. მოედანზე ამაყად მდგარი თურქი ფეხბურთელები ამაოდ ელოდნენ გაგრძელებას. უხერხულმა ეპიზოდმა რამდენიმე წუთს გასტანა. ოსმალოთა ოფიციოზმა მატჩის შემდეგ დაიჩივლა, ბოდიშის მოსახდელადაც კი არავინ მოსულაო.

შტატელებმა ისე შეუბერეს, როგორც უსწავლიათ. ფლანგებზე ნავარდი, კარის წინ ბურთის ჩაწოდება და ცენტრიდან გიჟივით ჩარბენილი მოთავური, რომელსაც დარტყმა თუ გამოუვიდა, მეკარესაც „გახვრეტს“.

დაახლოებით მსგავსი სცენარით დაიწყეს კიდეც. იოვან კიროვსკი საჯარიმოში შეგრიალდა და მცველებმა დასცეს. ამერიკელები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ. ურუგვაელმა არბიტრმა ხორხე ლარიონდამ სასტვენი არ შეაწუხა. მთლიანობაში ურუგვაელი ძალიან არხეინად მსაჯობდა, ხანდახან აშკარა წესების დარღვევას წაუყრუებდა. ერთ ეპიზოდში მოედანზე ორი ბურთიც კი დაგორავდა, მაგრამ ხორხე ლარიონდამ თამაში მაინც არ შეწყვიტა.

თურქბიჭობა გონს მალევე მოეგო და შტატებს შეუტია. მათ ზედიზედ სამჯერ შეამოწმეს ტიმ ჰოვარდის ადგილსამყოფელი. გოლის გატანის სხვებზე უკეთესი შანსი ყმაწვილ ოკან ილმაზს ჰქონდა. „ბურსასფორის“ მეგოლე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ჰოვარდმა ბურთი ფეხით მოიგერია.

შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში ამერიკელებმა უკან დაიხიეს და კონტრშეტევებზე გადაერთვნენ. ოსმალებმა მეტოქის კარს უხეიროდ უტრიალეს და ისინი ლანდონ დონოვანმა დასაჯა. მან მარცხენა ფლანგზე ჩაიშლიგინა და ომერის კარის შორეულ ძელთან ატუზულ დამარკუს ბესლის ბურთი თავზე დაასვა. ბესლიმ სამიოდ ადლიდან ომერს გაუტანა.

ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთი რჩებოდა. ამერიკელთა საჯარიმოში ხალხმრავლობა იყო. ოკან ილმაზი საპენალტედ წააქციეს და ურუგვაელმა მსაჯმაც დაუსტვინა, ლარიონდამ თურქის წაქცევა დაინახა, მაგრამ მანამდე რატომღაც წამიერად დაბრმავდა და ვერ შეამჩნია, რომ ოკანმა ბურთი ხელით შეათამაშა. თერთმეტმეტრიანი თავად ილმაზმა შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმში თურქებმა ტაქტიკა შეცვალეს. შტატელთა მასირებული დაცვის ჯებირების გარღვევა იოლად არ გამოუვიდათ. ამიტომ დროდადრო ბურთს მეტოქეს უთმობდნენ, ხან ტემპს მოუმატებდნენ, ხანაც დაძუნძულებდნენ. მათ ორი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. გოქდენიზ ქარადენიზის დარტყმულს მცველი გადაეღობა, ტუნჯაის გასროლილი კი ხარიხას შეასკდა.

ოკეანის გაღმიდან მოსულები ძველებურად ფლანგებიდან უტევდნენ. ხან მცველების ზურგსუკან ფორვარდების მომარაგებას ცდილობდნენ, მაგრამ ალფაი, ერგუნი და ბიულენთი საიმედოდ მოქმედებდნენ.

ბრიუს არენას შეგირდები შეტევებით რომ გაერთნენ, თურქებმა კონტრიერიშზე გამოიჭირეს და თუნქჩაი ტიმ ჰოვარდს პირისპირ შეეყარა. თავდამსხმელს მეკარისთვის გვერდის ავლა და გამარჯვების გოლის გატანა არ გასჭირვებია.

დარჩენილ დროში შტატელები უტევდნენ. საუკეთესო მომენტი შეცვლაზე შესულ კლინტ მატისს ჰქონდა. მისი დარტყმული ჯერ ალფაიმ მოიგერია, მერე კი ბიულენთმა, რომელიც კარში იყო და მოსაგერიებლად ხაზის გარეთ თავის გამოყოფა მოასწრო.

შენოლ გიუნეში: „პირველ მატჩშივე გამარჯვება გვწყუროდა და მივიღეთ. სამ ქულაზე მეტად ახალი სახელების აღმოჩენა მიხარია, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ძველ თაობას ღირსეულად შეცვლიან. ვფიქრობ, რომ გაცილებით დიდი სხვაობით მოგება შეგვეძლო, მაგრამ მომენტები გავანიავეთ“.

ბრიუს არენა: „თურქებს მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავთ და ნებისმიერ მათგანს მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია“.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| კამერუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

გიორგი დარხანია

# რეალი ბექემის წინააღმდეგ

## ბილბაო მიზნების თვლას ვერ აუდის

მაშ, ასე: დღეს და ხვალ პრიმერადივიზიონში საამსეზონო ბოლო ტურია, გასარკვევი კი ორად ორი რამ დარჩა. პირველი და მთავარი — ვინ გახდება ჩემპიონი და მეორე — ვინ ითამაშებს უეფას თასზე.

ჩემპიონობისთვის მადრიდის „რეალი" და სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი" იბრძვიან. მეექვსე საუეფასთასო ადგილს კი „ბილბაო" და „ბარსელონა" ეცილებიან ერთმანეთს.

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ალავესი | — | ვალიადოლიდი |
| რასინგი | — | ოსასუნა |
| დეპორტივო | — | ესპანიოლი |
| სევილია | — | ვალენსია |
| მალიორკა | — | მალაგა |
| რაიო ვალეკანო | — | უელვა |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | — | ბეტისი |
| ბარსელონა | — | სელტა |
| სოსიედადი | — | ატლეტიკო |
| რეალი | — | ბილბაო |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 37 | 21 | 12 | 4 | 83:41 | 75 |
| სოსიედადი | 37 | 21 | 10 | 6 | 68:45 | 73 |
| დეპორტივო | 37 | 21 | 6 | 10 | 65:46 | 69 |
| სელტა | 37 | 17 | 10 | 10 | 45:34 | 61 |
| ვალენსია | 37 | 16 | 9 | 12 | 53:35 | 57 |
| ბილბაო | 37 | 15 | 10 | 12 | 62:58 | 55 |
| ბარსელონა | 37 | 14 | 11 | 12 | 61:47 | 53 |
| ბეტისი | 37 | 13 | 12 | 12 | 51:51 | 51 |
| სევილია | 37 | 13 | 11 | 13 | 38:36 | 50 |
| მალიორკა | 37 | 13 | 10 | 14 | 48:56 | 49 |
| ატლეტიკო | 37 | 12 | 11 | 14 | 51:53 | 47 |
| მალაგა | 37 | 11 | 13 | 13 | 44:48 | 46 |
| ვალიადოლიდი | 37 | 12 | 9 | 16 | 36:39 | 45 |
| ვილიარეალი | 37 | 11 | 12 | 14 | 42:48 | 45 |
| რასინგი | 37 | 13 | 5 | 19 | 52:61 | 44 |
| ოსასუნა | 37 | 11 | 11 | 15 | 37:46 | 44 |
| ესპანიოლი | 37 | 10 | 13 | 14 | 47:52 | 43 |
| უელვა | 37 | 8 | 11 | 18 | 35:61 | 35 |
| ალავესი | 37 | 8 | 10 | 19 | 37:67 | 34 |
| რაიო | 37 | 7 | 10 | 20 | 31:62 | 31 |

ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ გიორგი დემეტრაძე „სოსიედადის" საკუთრებაა, მაგრამ რაკი ამ სეზონში პრიმერადივიზიონში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, სანსებასტიანელთა ჩემპიონობის შემთხვევაში ოქროს მედალს ვერ ირგუნებს.

პრიმერადივიზიონის ბოლო ტურიც, ისევე როგორც სხვა ტურები, ორ დღეზეა გაჭიმული. დღევანდელ ექვს შეხვედრაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან სათქმელი უბრალოდ არაფერია, ამ მატჩების შედეგებს იოტისოდენა მნიშვნელობაც არ აქვთ.

რაც შეეხება, ხვალინდელ მატჩებს:

— თუ „რეალმა" „ბილბაოს" მოუგო, ჩემპიონი ხდება და „სოსიედად" — „ატლეტიკოს" შეხვედრა აზრს კარგავს;

— თუ „რეალმა" „ბილბაოს" ვერ მოუგო (არა აქვს მნიშვნელობა, წააგებს თუ ფრე იქნება), სანსებასტიანელები გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონები ხდებიან;

— თუ „ბილბაომ" „რეალი" დაამარცხა, ბასკები უეფას თასზე ითამაშებენ;

— თუ „ბილბაომ" „რეალს" ვერ მოუგო (არა აქვს მნიშვნელობა, წააგებს თუ ფრედ ითამაშებს), „ბარსელონა" „სელტას" ძლევის შემთხვევაში უეფას თასზე გადის.

და რატომ გამოჩხრიკეს ამ სამ მნიშვნელოვან საკვირაო მატჩთან „ვილიარეალი" — „ბეტისი"? მოგახსენებთ:

— თუ „ბარსელონა" „სელტასთან" წააგებს, „ბეტისი" კი ვილიარეალში გაიმარჯვებს, მაშინ ბარსელონელები ინტერტოტოზე მეორე წრიდან ჩაებმებიან, სევილიელები კი, მესამედან, ხოლო თუ „ბარსა" „სელტასთან" არ დამარცხდება (არა აქვს მნიშვნელობა, მოიგებს თუ ფრედ ითამაშებს), მაშინ „ბეტისი" ითამაშებს მეორე წრიდან, „ბარსა" კი მესამედან.

თუმცა ინტერტოტოს ამბავი ნაკლებად საინტერესოა.

„ბილბაოზე" გამარჯვება „რეალს" 29-ედ გახდის ესპანეთის ჩემპიონს, მაგრამ დახეთ, რა ხდება: მადრიდელი ფეხბურთელები შეჩქვიფებულან, ჩვენმა უფროსობამ უდროო დროს გამოაცხადა დევიდ ბექემის ყიდვის ამბავიო. მიჩელ სალგადო: „ბექემის ყიდვის ცნობამ ჩვენი ფიქრი ძალაუნებურად ამ საკითხზე გადაიტანა, არადა, „ბილბაოსთან" გადამწყვეტი მატჩის წინ ამის უფლება არ გვქონდა. ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, ბექემის ყიდვა სეზონის დასრულების შემდეგ გაცხადებულიყო".



რონალდოს და მადრიდელებს ყოფილი რეალელი აიტორ კარანკა და ბილბაოელები ომს ჰპირდებიან

მაგრამ, ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რეალელები ახლა ვარჯიშის ნაცვლად სხედან და მხოლოდ ბექემზე ფიქრობენ.

ბილბაოელები კი მადრიდში გამარჯვების სურვილით გულანთებულები ჩადიან. საქმე მხოლოდ უეფას თასზე გასვლის სურვილში როდია. არც იმაში, რომ ბასკებს სძულთ ესპანელები, მთავარი ისაა, რომ გუნდს უნდა „რეალზე" გამარჯვება გარდაცვლილი პრეზიდენტის ხსოვნას მიუძღვნას. ეს უალალესი და წრფელი სურვილია.

„ბილბაოსავე" ხელშია „სოსიედადის" ბედი. მართალია, ბილბაოელებს სანსებასტიანელები მაინცდამაინც არ უყვართ, რაკი ნაღდ ბასკებად არ მიიჩნევენ, მაგრამ ჩემპიონობაში თუ დაეხმარნენ, მუდამ წამოსაძახებლად ექნებათ, თქვე გაჭირვებულებო, ჩვენი წყალობით მოიგეთ ტიტულიო.

„რეალ სოსიედადი" ესპანეთის ჩემპიონობას 1982 წლიდან ელოდება.

„სამწუხაროდ, ჩვენ ახლა სხვების შემყურე ვართ — თქვა სოსიედადელმა ნახევარმცველმა ხაბი ალონსომ — მაგრამ გვჯერა, რომ „ბილბაო" თავს არ დაზოგავს".

ესეც საამსეზონო ბოლო ანონსი.

# ბასკის გლოვა ბასკის ფიცია
# ჰკა რეალს!

**ბილბაოს** „ატლეტიკმა" კაცი და, რა კაცი დაკარგა. წელიწადნახევარი ავადმყოფობის შემდეგ ყელის კიბოთი გარდაიცვალა ბასკური კლუბის პრეზიდენტი, 41 წლის ხაბიერ ურია. იგი 2001 წელს აირჩიეს „ატლეტიკის" უმაღლეს თანამდებობაზე და ხანმოკლე მმართველობის პერიოდში გუნდისა და გულშემატკივრების დიდი სიყვარული დაიმსახურა. მგლოვიარე ბილბაოში შავარშიანი ბასკური ემბლემები გამოიფინა.

„იგი დიდი ადამიანი და ბრწყინვალე პრეზიდენტი იყო. ესპანურ ფეხბურთს ცოტა თუ ჰყავს მსგავსი პიროვნება" — განაცხადა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილარმა.

დამწუხრებულია „ატლეტიკის" სპორტული დირექტორი, წარსულში სახელგანთქმული მეკარე ანდონი სუბისარეტა. ჩემი მწუხარების გამოსახატავად სიტყვები არ მყოფნისო, განაცხადა.

ურიას გუნდს აღორძინების ხანა ედგა. მან „ატლეტიკის" მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი, აწ უკვე ჩვენი ლევან კობიაშვილის „შალკეს" მწვრთნელად დანიშნული იუპ ჰაინკესი დანიშნა. თვალზე ცრემლმომდგარმა გერმანელმა გარდაცვლილ პრეზიდენტს გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიმართა:

„რაც ბილბაოში ვარ, ეს ჩემი ყველაზე სევდიანი დღეა. ხაბიერთან საოცრად კარგი ურთიერთობა მქონდა, რამდენიმე დღის წინ ტელეფონით დიდხანს ვისაუბრეთ, ნამდვილად არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე დასრულდებოდა".

ბილბაოელთა კაპიტანი ხულიან გერერო კი დიდ ბასკს საბრძოლო ფიცით გამოემშვიდობა: „კვირას „ბერნაბეუზე" უძნელესი მატჩი გვაქვს, „რეალს" გამარჯვებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევერკინებით და თუ ეს თამაში მოვიგეთ, იცოდე, რომ ამას შენ გიძღვნით, ხაბიერ!"

**ლადო ხომერიკი**





ხაბიერ ურია უკანასკნელ გზაზე მთელმა ბილბაომ გააცილა





პრინცმა ალბერტმა ჟან ლუი კამპორას ფული უშოვა

# მონაკომ ადგილი იყიდა

მონაკოს სამეფომ გაიხარა. „მონაკო" საფრანგეთის პირველ დივიზიონში დატოვეს და დაქვეითება აღარ ემუქრება.

კლუბის ადვოკატებმა პროფესიული საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. ლიგის სააპელაციო კომიტეტმა საჩივარი განიხილა და დაადგინა: საფეხბურთო კლუბი „მონაკო" 2003-2004 წლების სეზონში კვლავაც უძლიერესთა შორის დარჩება.

„მონაკოს" პრეზიდენტმა და პრინცმა ალბერტმა ინვესტორებს მიაგნეს. საინვესტიციო ჯგუფის უფროსებმა, მიშელ პასტორმა, მარკო პიჩინინიმ და ალნან უდრუჯმა, ვალებში ჩაფლულ კლუბს დაახლოებით 30 მილიონი ევრო შეაშველეს. გარჩევისას მთავარი სწორედ ამ ფულის არსებობა იყო. მიუხედავად სამეფოს სიხარულისა, „მონაკოს" ფინანსურ საქმიანობას და სატრანსფერო ოპერაციებს პროფესიული საფეხბურთო ლიგა თავად გააკონტროლებს მანამ, სანამ ყველაფერი ბოლომდე მოწესრიგდება.

რადგან კლუბს ახალი ინვესტორი გამოუჩნდა, სავარაუდოა, რომ ზემოდასახელებული სამეულისგან ერთ-ერთი ჟან ლუი კამპორას სავარძელს დაეპატრონება. ეს სამომავლო ამბავია, ისევე როგორც გუნდში დიდიე დეშანის წასვლა-დარჩენის საკითხი. ცნობილია, რომ მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის არცთუ კარგი ურთიერთობებია.

ადრე გაუწყეთ, „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ „მონაკოსგან" შაბანი ნონდას ყიდვა რომ განიზრახა და ფეხბურთელს უკვე ლიონში ელოდებოდნენ. გამორიცხული არაა, ნონდა „მონაკოში" დარჩეს, რადგან ვითარება შეიცვალა და სამეფოს გუნდმა პირველ დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გამარჯობა, ნახვამდის, გმადლობთ და გოგოშკური ამბები

*ბექჰემიადა ისეთი რამ არის, უცბად შეწყვეტა არ მოუხდება. ჯობს, თემა ნელ-ნელა ჩავამთავროთ, აი, როგორც სიმღერებშია, ბოლოს ხმას რომ უწევენ და უწევენ გაჩუმებამდე.*

გუშინდელ „სარბიელში" დევიდ ბექჰემის მადრიდში გადასვლა ვრცელი წერილით აღვნიშნეთ. დღეს რამდენიმე დეტალი შევმატოთ, უპირველესად კი ის ვთქვათ, რომ მისმა ახალმა თანაგუნდელმა რობერტო კარლოსმა პატარა შარი-შური გამოიწვია. მან თქვა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „რეალის" და „მანჩესტერის" საპასუხო თამაშის შემდეგ, ანუ „ოლდ ტრეფორდზე", მოედნიდან რომ გავდიოდით, ბექჰემს გვერდით მივუდექი და ვკითხე: რას შვრები, მომავალი სეზონიდან მოდიხარ თუ არა-მეთქი, მან მიპასუხა მოვდივარო.

რობერტო კარლოსის ამ ნათქვამიდან იმის დასკვნა შეიძლება, რომ ყველაფერი აყალმაყალის ატეხვამდე დიდი ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი. თუმცა გაზეთი „სანი" ამტკიცებს, რომ ეს ტყუილია და ბექჰემის „რეალში" გადასვლის ამბავი ბოლო ათ დღეში გაირკვა. „სანი" ირწმუნება, რომ რობერტო კარლოსის სიტყვა მხოლოდ მადრიდელთა ბექჰემისადმი ოდინდელ ინტერესს ასაბუთებს და მეტი არაფერი. გაზეთს ფაქტები მოჰყავს: ბექჰემის აგენტი, ტონი სტივენსი მადრიდში 2-3 ივნისს ჩაფრინდა; ერთი კვირის შემდეგ „ბარსელონას" პრეზიდენტმა „მანჩესტერ იუნაიტედს" 24 მილიონი გირვანქა შესთავაზა; „იუნაიტედის" თავმჯდომარემ პიტერ კინიონმა აღიარა, რომ ბექჰემით რამდენიმე ესპანური და იტალიური კლუბია დაინტერესებული და ასე შემდეგ. გარდა ამისა, „სანი" გვთავაზობს დავიმახსოვროთ თუ რა მოხდება მომავალში. კერძოდ, „რეალი" თავის ახლანდელ მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს უახლოეს ხანს მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს შესთავაზებს, ხოლო გაისად ამ დროს, უფრო ზუსტად კი ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მადრიდელები ინგლისის ნაკრების თავკაცს, შვედ სვენ გორან ერიკსონს გადაიბირებენ.

დევიდ ბექჰემის „რეალში" გადასვლამ გამოხმაურება ყველგან ჰპოვა, მათ შორის, „მანჩესტერ იუნაიტედის" მეტოქეთა ბანაკებშიც. მანჩესტერელებს ინგლისში ყველაზე დიდ კონკურენციას ლონდონის „არსენალი" უწევს, ამიტომ პრესა არსენალელთა შთაბეჭდილებითაც დაინტერესდა.

„არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი: „ბექჰემსა და ფერგიუსონს შორის არსებულმა პირადმა დაძაბულობამ ფეხბურთელის ფასი აშკარად დააგდო. კლუბი ბექჰემში თავიდან 35 მილიონ გირვანქას ითხოვდა, მაგრამ ვინაიდან ფერგიუსონს მისი მოშორება ჰქონდა დაყენებული, თავისაზე დინჯად ველარ დაღგა. გარდა ამისა, „იუნაიტედის" ძლიერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფეხბურთელთა ერთი ჯგუფის ერთსულოვნება გახლდათ, რაც ბექჰემის გაყიდვით რღვევას დაიწყებს. ეს ტრანსფერი ნიშნავს, რომ „ოლდ ტრეფორდზე" გაზრდილი ჯგუფი — ბექჰემი, სქოულზი, გიგზი და ძმები ნევილები — საგანგებო და ხელშეუხებელი აღარ არის, თუმცა „მანჩესტერი" ამიერიდან, როგორც ჩანს, დიდი სახელების ყიდვაზე გადავა".

„არსენალის" გარემარბი რობერ პირესი: „ბექჰემის წასვლით „იუნაიტედი", ალბათ, დასუსტდება. ჩვენ კი გავძლიერდებით და ახლო კვალში ჩავუდგებით".

თავად ბექჰემი და მისი მეუღლე ვიქტორია კი სარეკლამო ტურნეში, იაპონიაში გახლავან და იქ მართავენ პრესკონფერენციებს.

„ცხადია, შეიძლებოდა ცოტა სხვანაირად მომხდარიყო ყველაფერი — თქვა დევიდმა, — მაგრამ კლუბმა აშკარად მაგრძნობინა, რომ ჩემს თავს ფული ურჩევნია და ამის მერე შესაბამისი გადაწყვეტილება მივიღე. ვიცი, ბოლო დროს დადის ხმა, თითქოს მე უშუალოდ ტრანსფერის ცალკეული ასპექტებით ვარ უკმაყოფილო. არ მინდოდა ვინმეს ასეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა. მე ხომ ოფიციალურად განვაცხადე, რომ დიდი მადლობელი ვარ ამ სატრანსფერო მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარის, „მანჩესტერ იუნაიტედის", ჩემი მრჩევლების და „რეალის". ერთადერთი, რამაც შემაშფოთა, ის გახლავთ, რომ მთელი აყიოტაჟი მაშინ ატყდა, როდესაც ესპანეთის ჩემპიონატი დასრულებული არ არის და გუნდს წინ გადამწყვეტი შეხვედრა ელის. მინდა დიდი ბოდიში მოვუხადო „რეალის" ფეხბურთელებს, საქმიდან მათი ყურადღების მოწყვეტა ნამდვილად არ მინდოდა. ვუსურვებ გამარჯვებას და ვეშურები მათთან ერთად მოედანზე გასვლას. გავიგე, რომ დიდი მითქმა-მოთქმაა შვიდნომრიანი მაისურის გარშემოც. მერწმუნეთ, რაულისთვის ნომრის წართმევა გუნებაშიც არ გამივლია. ის „რეალში" მეფის მსგავსი ფიგურაა, მე კი მაისურის თემაზე საუბარსაც არ ვაპირებ. ასეთი რამ არც წამომცდენია, რა ნომერსაც მომცემენ, იმას ჩავიცმევ. აგრეთვე, ხაზგასმით ვამბობ, რომ ვითამაშებ იმ პოზიციაზე, რომელსაც მწვრთნელი შემომთავაზებს. მათ ჩემი შეძენა უნდოდათ, „რეალში" თამაში კი დიდი პატივია".

პრესკონფერენციაზე წამოწიეს ინგლისის ნაკრების თემაც. კერძოდ, ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რამდენად იმოქმედებს ბექჰემის ეროვნულ გუნდში თამაშზე მისი ესპანეთში გადაბარგება.

„ამას მნიშვნელობა და გავლენა რომ ჰქონოდა, არ გადავიდოდი — მიუგო ბექჰემმა — მისტერ ერიკსონს საგანგებოდ ვესაუბრე, რადგან ეს ადამიანი ჩემს კარიერაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მან მიპასუხა, რომ სადაც არ უნდა წავიდე და რაც არ უნდა გავაკეთო, ინგლისის ნაკრების კაპიტნად დავრჩები".

შემდეგ კი ბექჰემმა მანჩესტერელ ქომაგებს შეუთვალა დიდი მადლობა:

„ისინი მიიჩნევენ, რომ კლუბისთვის დიდი საქმე გავაკეთე, მე კი მიმაჩნია, რომ მათ ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი და მე მათ წინაშე ვალში ვარ. ხალხი, რომელთა თვალწინ გავიზარდე, ძალიან დამაკლდება, დამაკლდებიან „იუნაიტედის" ბიჭებიც, რომელთაც მარად ჩემი ოჯახის წევრებად მივიჩნევდი. მანჩესტერში უამრავ ახლობელს, ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანს ვტოვებ. ისინი კეთილად მექცეოდნენ და 13 წლის განმავლობაში ზრუნავდნენ ჩემზე".

...კეთილი და პატიოსანი. აქამდე ყველაფერი საქმიანად და აკადემიურად იყო, ამის მერე კი ერთ ფრიად საგანგებო საკითხზე მიგაქცევინებთ ყურადღებას. ეს საკითხი იაპონიაში გამართულ პრესკონფერენციაზე დევიდის მეუღლემ, ვიქტორიამ წამოსწია, ასე, რომ, ჩვენი ბრალი არ არის. ვიქტორია ადამს-ბექჰემისამ ჟურნალისტებს ასე უთხრა:

„მწამს, უამრავ ადამიანს სურს შეიგრძნოს რა რბილი კანი აქვს ჩემს ქმარს. დევიდის კანი ისეთივე ფაქიზია, როგორიც ჩვენი ბავშვებისა".

რა კანი, რის კანი?

„დევიდს უყვარს სახის კანისა და საერთო მასაჟი. იგი იქნის წარბებს, კანის დასარბილებლად სპეცსაშუალებებს იყენებს".

დევიდმა დაადასტურა:

„მასაჟს სიამოვნებით მივმართავ, ვიკეთებ მანიკურს და პედიკურს. მიყვარს თავის მოვლა. ვფიქრობ, კაცი თავს უნდა უვლიდეს, ეს მნიშვნელოვანია. რასაკვირველია, როგორც ვიქტორიამ თქვა, სახეზე კრემს ვისვამ".

ვიმეორებთ, ჩვენ ნურაფერს გვაბრალებთ და ნურც იმას იფიქრებთ, რომ ამ საკითხს ჩვენ ვუყურებთ იბერიულ-კავკასიური კუთხით, თორემ იქ, ევროპაში ეს მიღებული და გასაგები ამბავია. ბექჰემების ამ ჟელე-განცხადებებს, მაგალითად, „სანმა" შესავალში ასე დაურთო: „პოშ სფაისმა გუშინ ისევ გამოჰყო ფეხი და დევიდ ბექჰემის ახალი გოგოშკური საიდუმლო წამოაყრანტალა" — ძალიან „სანური" შეფასებაა. შეგახსენებთ, რომ იმავე ვიქტორიამ ოთხი წლის წინ გამოაცხადა, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი შინ მისი ბიკინით დადის, ხოლო შარშან ზაფხულზე პაპარაცებმა დევიდი ვარდისფერი ფრჩხილის ლაქით „გამოიჭირეს".

გვეყო, ამაზე მეტი აღარ გვინდა. ჯობს მორიგ თემაზე გადავიდეთ — ბექჰემმა მადრიდში ესპანური უნდა ისწავლოს. ეს აუცილებელია.

„ჯერ ესპანურის გაკვეთილი არ მქონია, მაგრამ რესტორანში მენიუ როგორ უნდა ვითხოვო, ვიცი. ერთი სიტყვით, მთლად ნულზე არა ვარ" — იხუმრა ბექჰმა, რომელსაც ოთხშაბათს, ტოკიოს აეროპორტში 4 ათასი ფანი წივილ-კივილით შეეგება.

„ასეთ მიღებაზე სიტყვებით რაიმეს თქმა ძნელია. ეს საოცარი განცდა იყო" — თქვა „რეალის", ალბათ, მეთერთმეტე ნომერმა. შეგახსენებთ, რომ კერპის ასე დახვედრა „ბითლზის" დროს დაინერგა და ასეც ეწოდება, „ბითლზური შეგებება".

**ბაკუნა ძედია**





რობერტო კარლოსმა დევიდ ბექჰემი „რეალში" ჯერ კიდევ როდის დაპატიჟა...




ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე ვიკამ ქმარზე ისეთები ილაპარაკა, კაცურ კაცს შერცხვებოდა




ფიგუზე „ინტერში" მხოლოდ ილაპარაკეს

# ფრთხილად, წინ დროა!

„ინტერის" პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ მას მადრიდის „რეალის" ვარსკვლავის ლუიშ ფიგუს შესახებ კონკრეტული არაფერი უთქვამს, უბრალოდ, თავის შტაბში ბჭობდა ღირს თუ არა ფიგუთი დაინტერესება.

„ვეჭვობ, იგი „ინტერს" სჭირდებოდეს — თქვა მილიონერმა — „რეალს" ამ საკითხზე არც დავლაპარაკებივართ".

„ინტერთან" დაკავშირებით უკვე ბევრი ფეხბურთელის გვარ-სახელი ახსენეს, მაგრამ რეალურად, „შავ-ლურჯებს" ჯერ ნაბიჯი ერთი მიმართულებითაც არ გადაუდგამთ.

„წინ დიდი დროა — თქვა მორატიმ — ასეთ დროს სიმშვიდე ფასობს, ბევრი კლუბი ფრთხილად მოქმედებს".

შემდეგ მას შეახსენეს, რომ „მილანმა" უკვე შეიძინა მარკოს კაფუ, ხოლო „იუვენტუსმა" ნიკოლა ლეგროტალიე.

„ისინი ჩვენ არ გვჭირდებოდნენ" — მიუგო ბიზნესმენმა, რომელმაც დევიდ ბექჰემის „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „რეალში" გადასვლას ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„ჩინებული ტრანსფერი გამოუვიდათ, ჩვენ ყველანი დიდი ინტერესითა და ხალისით ვუყურებდით მოვლენათა განვითარებას, თუმცა „ინტერისთვის" დევიდ ბექჰემი სულერთი იყო. დღევანდელ ვითარებაში ასეთ ძვირ გარიგებაში ვერც ერთი იტალიური კლუბი ვერ ჩაერთვებოდა".

ხოლო თავისუფალ აგენტად ქცეულ „არსენალელ ფრედერიკ ლიუნგბერგს კარიერის ამ ეტაპზე იტალიაში გადასვლა მონდომებია. მისმა აგენტმა, ვინჩენცო მორაბიტომ „ტელელომბარდიას" განუცხადა, რომ შვედს განსხვავებული სტილის შეჯიბრებაში სურს მონაწილეობა, მან ხომ ინგლისში უკვე ხუთი წელიწადი გაატარა.

„მას უეჭველად მოეწონებოდა „ინტერში" თამაში, რადგან ეს კლუბი, თავად ფეხბურთელისა არ იყოს, ამბიციურია, თან „არსენალთან" ჩინებული ურთიერთობა აქვს. თუნდაც დენის ბერხკამპისა და ნვანკვო კანუს ტრანსფერები გაიხსენეთ."

საბოლოოდ, ამბობენ, რომ მორატიმ ლიუნგბერგის გარდა ლუჩანოს (კიევო), კილი გონსალესის (ვალენსია), ენდი ვან დერ მეიდეს (აიაქსი) და მაურო კამორანეზის საქმეები შეიძლება განიხილოს.

**ბაკუნა ძედია**

## ფინეთი

**მე-8 ტური: ჰიკ — კტპ 5:0; მიუპა — კუოპიო 1:0; ჰაამენლინა — ინტერი 1:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 8 | 6 | 1 | 1 | 17:4 | 19 |
| მიუპა | 8 | 5 | 2 | 1 | 15:5 | 17 |
| ალიანსი | 8 | 5 | 2 | 1 | 20:11 | 17 |
| ჰიკ | 8 | 5 | 2 | 1 | 14:5 | 17 |
| ტამპერე | 8 | 5 | 0 | 3 | 12:8 | 15 |
| ტურკუ | 8 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 13 |
| ჰამენლინა | 8 | 3 | 3 | 2 | 8:10 | 12 |
| იოკერიტი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 11 |
| იარო | 8 | 2 | 4 | 2 | 13:11 | 10 |
| კტპ | 8 | 3 | 0 | 5 | 11:17 | 9 |
| ჯაზი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:18 | 7 |
| ლაჰტი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | 6 |
| ინტერი | 8 | 0 | 2 | 6 | 6:18 | 2 |
| კუოპიო | 8 | 0 | 1 | 7 | 8:25 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუტიმ გაუტია

## ბარსა პარიზს შეესია

„საყვარელი გუნდიდან წასვლა მამწუხრებს, მაგრამ სხვა გზას ველარ ვხედავ. წარამარა კედელს შესკდომამ დამღალა" — განუცხადა ესპანურ გაზეთ „ელ მუნდოს" მადრიდის „რეალის" ცნობილმა ნახევარმცველმა გუტიმ, რომელიც აშკარად გრძნობს, რომ „სამეფო კლუბში" დევიდ ბექჰემის მისვლა მას მნიშვნელოვნად ურთულებს ცხოვრებას.

გუტიმ ამასწინანდელ რადიოინტერვიუში დაუფარავად ისაუბრა თავის მდგომარეობაზე, ხოლო ოთხშაბათს ვარჯიშზეც აღარ მისულა.

„ჩემთვის ყველა კარი დაიკეტა — თქვა 26 წლის ფეხბურთელმა — როგორც ნახევარმცველი აშკარად ვიზრდებოდი, როდესაც „რეალმა" ზიდანი იყიდა. შემდეგ თავდამსხმაში გადავედი და იმწუთას რონალდო მოიყვანეს. ახლა, როდესაც ესპანეთის ნაკრებში ისევ ნახევარდაცვაში ვთამაშობ, ბექჰემი ჩამოდის. არადა, მე პროფესიონალი ვარ და თამაში მსურს და ეს მადრიდში თუ არ მოხერხდება, სხვაგან უნდა წავიდე".

ხოლო, როდესაც პერსპექტივასა და ვარიანტებზე ჰკითხეს, გუტიმ მიუგო: „მე ახალი ადგილების გაცნობა მაინტერესებს, განსაკუთრებით რომი მომწონს, თუმცა მილანიც საინტერესოა".

ამრიგად, ბექჰემის მადრიდში გადასვლამ „რეალს" ხალხმრავლობის პრობლემა მოუტანა, ხოლო იმავ ბექჰემის „ბარსელონაში" არგადასვლამ, კატალონიელთა ახალ პრეზიდენტს, ხუან ლაპორტას პირიქით, ვარსკვლავთა ეფექტურად მიზიდვის აუცილებლობა დაანახა — ბოლო ცნობების თანახმად, ლაპორტას მარჯვენა ხელი, ბიზნესმენი სანდრო როსელი ბრაზილიელი რონალდინიოს წარმომადგენლებთან შესახვედრად ემზადება.

„რონის ყიდვა „ბარსელონას" გარდა „მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს, ხოლო „პარი სენ ჟერმენი" მის დატოვებას ცდილობს — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა, მისმა ძმამ რობერტო ასისმა — თუმცა კონფედერაციათა თასის ფინალამდე, ანუ 29 ივნისამდე კონკრეტული პასუხის გაცემა არ შეგვიძლია... ჩვენი სურვილი რონის დაცვაა, თავადაც ეს სურს და შეჯიბრების მსვლელობისას უამრავმა ადამიანმა რომ არ შეაწუხოს, ამ თემას ცოტა ხნით გადავდებთ, ამჯერად მხოლოდ იმას გეტყვით, რომ რონი სერიოზული კაცია, იგი პარიზულ პუბლიკას უყვარს, ხოლო გადაწყვეტილებას მხოლოდ ჩვენთან ერთად მიიღებს, ასე რომ, ბრაზილიის ნაკრების ბანაკში ის არ ნერვიულობს და მხოლოდ თამაშზე ფიქრობს. თან ვიცი, რომ ბრაზილია — კამერუნის მატჩზე „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტი ჩამოვიდა. მას მე შევხვდები".

„ბარსელონამ" რონალდინიოს გარდა წინადადებით საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელს, ტიერი ანრისაც მიმართა. ლაპორტას შტაბი იმედოვნებს, რომ ანრისთან მოლაპარაკებები ამ დღეებში დაიწყება, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი რონალდინიოს არ იყოს, კონფედერაციათა თასზე თამაშობს.

„ანრი ერთ-ერთი მათგანია, ვისთან საუბრის იმედიც უახლოეს ხანს გვაქვს. ჩვენ უნდა გავიგოთ, თავად თუ მოსწონს „ბარსელონაში" გადმოსვლის იდეა. ჩვენს ქალაქში მას, როგორც დიდ ფეხბურთელს პატივს სცემენ" — თქვა „ბარსას" პრესმდივანმა.

**ბაკუნა ძიდია**




გუტის გულმა „რომასკენ" გაუწია

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 0:4 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (0:2)**

0:1, 0:2 ტევესი (13, 22), 0:3 სკიავი (41პ), 0:4 დელგადო (77პ)

**ამერიკა დე კალი:** საპატა, პ. ნავარო (ო. ვილიარეალი 28), ტიერადენტრო, ა. გონსალესი, ლონდონო, ვირვიესკასი, კ. ანგულო, ფ. ვარგასი, დ. ფერეირა, ლ. მორენო (ხ. მორენო 63), ვასკესი

**ბოკა ხუნიორსი:** აბონდანსიერი, ხერესი, სკიავი, ბურდისო, კ. როდრიგესი, ბატალია, კასკინი (პინტო 71), ხ. ვილიარეალი, კანია (კანეო 77), მარსელო დელგადო, კ. ტევესი (კანგელე 50)

მსაჯი: კარლოს ჩანდია (ჩილე)

52 000 მაყურებელი



მარსელო დელგადომ კოლუმბიელებს გადაუარა

# იგივე, ოღონდ პელეს გარეშე

19 წლის არგენტინელი ფორვარდის კარლოს ტევესის დუბლითა და კიდევ ორი პენალტით, რომელთა გოლებად გარდასახვა როლანდო სიაკიმ და მარსელო დელგადომ ითავეს, „ბოკა ხუნიორსმა" მისსავე მოედანზე გაანადგურა კოლუმბიური „ამერიკა", პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდა და ლიბერტადორესის თასის ფინალში გაღწია.

წლევანდელი ფინალი კი 40 წლის წინანდელის გამეორება იქნება. ფინალში მაშინაც „ბოკა" და „სანტოსი" შეხვდნენ და პელეს გუნდმა მოიგო.

„სანტოსს" მას მერე ლიბერტადორესის თასი აღარ მოუგია, „ბოკა" კი ოთხჯერ შესწავდა თასს: 1977, 78, 2000 და 2001 წლებში.

„ბოკასგან" ნახევარფინალში ძლეული „ამერიკა" კი ოთხჯერ გასულა თასის ფინალში და ოთხჯერვე წაუგია.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** მადრიდის „რეალი" გაუმაძღარია: „მანჩესტერ იუნაიტედიდან" დევიდ ბექჰემი ხომ იყიდა, თურმე ამაზე გაჩერებას არ აპირებს და ახლა ნისლიანი ალბიონიდან კიდევ ერთი ნახევარმცველის „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაყვანა განიზრახა — ლონდონის „არსენალს" 25 მილიონი ევრო და ზედ ერთი, ჯერჯერობით უცნობი ფეხბურთელი შესთავაზა ფრანკ პატრიკ ვიეირას სანაცვლოდ. რამდენად რეალურია ეს ტრანსფერი? ამაზე ვერც ინგლისში და ვერც ესპანეთში ვერაფერს ამბობენ, თუმც ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა უკვე დაწერა, ფლორენტინო პერესს ვიეირას „სამეფო კლუბში" გადაყვანა ძალიან გაუჭირდებაო.

** იტალიური „ნაპოლი" წლეულს სერია C-ში დაქვეითების ძლივს გადაურჩა. ერთ დროს ყველასთვის სათაყვანებელმა და დიდი დიეგო მარადონას კლუბის ახლანდელმა პრეზიდენტმა, სალვატორე ნალდიმაც შვებით ამოისუნთქა. „ნაპოლის" შეფი გულშემატკივრებს უკვე აქედანვე შეჰპირდა, ყველანაირად ვეცდები, გუნდი გავაძლიერო და ახალი სეზონიდან სერია A-ში დავბრუნდეთო. და ვისი მეშვეობით აპირებს ნალდი „ნაპოლის" გაძლიერებას? საკმაოდ ცნობილი, გამოცდილი და ვეტერანი თანამემამულეების ხარჯზე. ისინი ინგლისში მობურთალი თავდამსხმელები არიან — ჯანფრანკო ძოლა, პაოლო დი კანიო და კორადო გრაბი. „ჩემი სურვილია, სამივე „სან პაოლოზე" ჩამოვიყვანო. თუ საწადელი ავისრულე, ბედნიერი ვიქნები, მაგრამ ყველაზე რეალური მაინც პაოლო დი კანიოს ტრანსფერი მგონია" — თქვა სალვატორე ნალდიმ.**

**ესპანური** „ბარსელონა" 24 წლის ავსტრალიელი ჰარი კიუელით დაინტერესდა. ნახევარმცველმა სეზონის ბოლოს თავის ამჟამინდელ კლუბ „ლიდს იუნაიდეტთან" კონტრაქტი არ გააგრძელა და მსურველთა რიგი დაუდგა — „არსენალი", „მანჩესტერი", „მილანი", „ინტერი"- და ახლა „ბარსელონა". რაც კატალონიელებს დევიდ ბექჰემი გაუძვრათ ხელიდან, ძლიერი და შესაფერისი ვარსკვლავის ძიებაში არიან. „კიუელი ჩვენი თვალთახედვის არეშია, თუმც მისი სატრანსფერო თანხა გვეძვირება. ვნახოთ, მოვილაპარაკებთ" — ამბობს „ბარსელონას" პრესატაშე ხუანო კასტილიო. ჰარი კიუელი „ლიდსმა" 25 მილიონ ევროდ შეაფასა.

**იტალიური „მილანი" სერიოზულადაა დაინტერესებული, რომის „ლაციოდან" ახმახი ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი გადაიბიროს. „გაძეტა დელო სპორტი" „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის სიტყვებს იმოწმებს: „დიახ, ჩვენ გვსურს, სტამი „სან სიროზე" ჩამოვიყვანოთ". ვარდისფერი გაზეთი იმასაც დასძენს, „მილანი" მზადაა, სტამის სანაცვლოდ „ლაციოს" 8 მილიონი ევრო გადაუხადოს და ესპანელი თავდამსხმელი ხოსე მარიც დაუთმოს. კლაუდიო ლოპესი „ვალენსიაში" ბრუნდება და ხოსე მარი არგენტინელს ჩინებულად შეცვლისო. იქვე „სან სიროს" მეორე ბინადრის, „ინტერის" სურვილსაც ვაწყდებით: თურმე იაპ სტამის გადაბირება „ნერო აძურის" პრეზიდენტ მასიმო მორატისაც ამოუჩრია გულში და თანახმაა, მის სანაცვლოდ რომში მცველი მარკო მატერაცი გაუშვას. თუ მორატიმ სტამს „ინტერთან" კონტრაქტი გაუფორმა, ფეხბურთელს წლიურ ხელფასად 2 მილიონ ევროს დაუნიშნავსო — ვკითხულობთ „გაძეტა დელო სპორტში".**

**ესპანური** „ბეტისის" პრეზიდენტი მანუელ რუის დე ლაპორტა ისლანდიელ ნახევარმცველ იოჰანეს გუდიონსონს ლონდონურ „ჩელსიში" არ უშვებს. „ბეტისმა" 23 წლის გუდიონსონი ბირმინგემის „ასტონ ვილადან" ითხოვა და ახლა ალბიონელებისგან მისი კონტრაქტის გამოსყიდვა სურს. „ჩელსის" იტალიელ თავკაც კლაუდიო რანიერის კი ისლანდიელი გუნდიდან მიმავალ ჯოდი მორისის შემცვლელად ესახება. ერთი სიტყვით, ლონდონელ „არისტოკრატებში" ჯერჯერობით ორი ისლანდიელი ვერ ითამაშებს — თავდამსხმელი ეიდურ გუდიონსენი ხომ უკვე რა ხანია იცავს „ჩელსის" ღირსებას.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" გაძლიერებას ლამობს. ჩემპიონთა უპირველესი სამიზნე ორი ფეხბურთელია და ორივე კამერუნელი — თავდამსხმელი სამუელ ეტოო და მცველ-ნახევარმცველი ჯერემი ნჯიტაპი. იცით, ეტოო ესპანური „მალიორკას" წევრია, ჯერემი კი მადრიდის „რეალის" საკუთრება, თუმც ბოლო სეზონი იჯარის წესით პრემიერლიგურ „მიდლსბროში" გაატარა. ფიფას კონფედერაციათა თასზე ბრაზილიის ნაკრების კარში გამარჯვების გოლის გამტან სამუელ ეტოოს „ტოტენჰემ ჰოთსპურიც" ეპატიჟება და ამბობენ, ფეხბურთელსა და „მამლებს" შორის წინასწარი მოლაპარაკება უკვე შედგაო, მაგრამ რახან „იუნაიტედმა" თავი წამოყო, კამერუნელი უთუოდ მისით მოიხიბლება, სახელიან დიად კლუბში და ჩემპიონთა ლიგაში უჯობს თამაშიო. „მანჩესტერ იუნაიტედს" თურმე ეტოოს შესაძენი თანხაც გადაუდევია, 10 მილიონი გირვანქა. ჯერემიზე კი უთქვამთ, „რეალიდან" მის კონტრაქტს გმოვისყიდით, კამერუნელი დევიდ ბექჰემის შემცვლელად გვესახებაო.**

**ფრანგი** არსენ ვენგერი, შვედი სვენ-გორან ერიქსონი ან არგენტინელი მარსელო ბიელსა მადრიდული „რეალის" თავკაცობის კანდიდატებად მოიაზრებოდნენ. თუმც ესპანეთის დედაქალაქში და „რეალის" გულშემატკივართა გულებში მშვიდობამ დაისადგურა, კლუბის პრესსამსახურმა სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოს განცხადება გაავრცელა: „რეალს" კვლავაც ვისენტე დელ ბოსკე გაწვრთნის, მასთან ახალ ხელშეკრულებას მალე გავაფორმებთ. დელ ბოსკე სულით რეალელია, საყვარელ კლუბს 35 წელი შეალია და პოსტიდან მისი გაშვება წამითაც არ გაგვივლია გულში. ვიმედოვნებთ, „რეალი" დელ ბოსკესთან ერთად, კვლავაც არაერთ ჯილდოს მოიგებს".

**ესპანური „სელტას" პრეზიდენტმა ორასიო გომესმა მწვრთნელ მიგელ ანხელ ლოტინას მაგიდაზე ახალი კონტრაქტი დაუდო. პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე დაიწყო და იმით დასრულდა, რომ ლოტინამ „სელტას" სანუკვარი ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუპოვა. ცხადია, გომესი მიღწეულმა გაახარა და ლოტინასაც შეჰპირდა, რასაც მოითხოვ, შეგისრულდება, გუნდიდან არც მოსტოვოის გავუშვებთ და არც სხვას, პირიქით, სამ-ოთხ ძლიერ ფეხბურთელს გადმოვიბირებთ და იმედი მაქვს, ევროპის პრესტიჟულ ტურნირშიც ღირსეულად ვითამაშებთო. მწვრთნელსაც რაღა უნდა ექნა, ადგა და კონტრაქტს ხელი მოაწერა. ხელშეკრულება 2004 წლის 30 ივნისამდეა ძალაში.**

**იტალიურმა** „რომამ" „კიევოდან" დიდი ხნის სასურველი მცველი ნიკოლა ლეგროტალიე ვერ დაითრია, ახალგაზრდა ფეხბურთელი დედაქალაქელებს ტურინის „იუვენტუსმა" ასწაპნა. ახლა ფაბიო კაპელოს სამიზნე სამიდან ერთ-ერთი უკანახაზელია — „ოსერის" ფილიპ მექსეში, „მონაკოს" მექსიკელი რაფაელ მარკესი და დორტმუნდის „ბორუსიას" ახმახი გერმანელი კრისტოფ მეცელდერი. ცხადია, სამივეზე „რომას" მრავლისმნახველ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს საკუთარი მოსაზრება გააჩნია და ახლა ყველაფერი ფეხბურთელთა აგენტების მარიფათზეა დამოკიდებული, თუმც იტალიაში ირწმუნებიან, კაპელოს სიმპათიები მექსიკელ მარკესისკენ იხრებაო.

# მოკვდი მშვიდად, დაზღვეული ხარ

*„რივერის“ ახალმა პრეზიდენტმა პარდომ დი სტეფანოს კარისკენ მიუთითა. ალფრედოს და მის თანაგუნდელ პიპო როსის კი ჯიბეში კოლუმბიის ბილეთები ედოთ. ბევრი არც უფიქრიათ — ბოგოტას გზას დაადგნენ. მანამდე კი იყო ტურინი, სანდრო მაცოლა, რომის პაპი და სახალისო ისტორია სიგარეტის ბიზნესზე.*



სანდრო მაცოლას წყვილი გოლი რომ არა, ალფრედო დი სტეფანო ექვს ჩემპიონთა თასთან გადაიღებდა სურათს

## გამარჯობა, ბოგოტა!

1949 წლის 11 აგვისტოს მე და პიპო როსი ბოგოტაში ჩავფრინდით. ბუენოს აირესიდან მგზავრობამ ორი დღე წაიღო. ჯერ სანტიაგოში ჩავედით. იქიდან ლიმაში, ღამე გავათიეთ, მეორე დღეს კალიში გავემგზავრეთ და ასე მოვხვდით ბოგოტაში. კალიში თვითმფრინავში „მილიონარიოსის“ პრეზიდენტი ალფონსო სენიორი და კლუბის რომელიღაც დირექტორი ამოვიდნენ. კალიში სავანგებოდ ჩვენს დასახვედრად ჩამოსულან.

ბოგოტას აეროპორტში ხუთი ათას გულშემატკივარზე მეტი გველოდა. კლუბს მათთვის 30 ავტობუსი დაუქირავებია. მომდევნო კვირა დღეს კი, ჩვენი საქმეში ნახვის მოსურნე ოცი ათასმა მაყურებელმა „ელ კამპინის“ სტადიონზე მოიყარა თავი. არადა, სტადიონის ტევადობა ამდენიც არ იყო. იქაურმა გაზეთმა „ელ ტიემპომ“ დაწერა: „ბოლოს და ბოლოს, საშუალება მოგვეცა, ვნახოთ, როგორ დაფრინავს „თეთრი ისარი“ და როგორ ერჭობა მიზანში“. სხვა სტატიაში კი ჟურნალისტი ამტკიცებდა, დი სტეფანო ყველაზე სახიფათო და სწრაფი ცენტრფორვარდია კონტინენტზეო.

კოლუმბიაში გადაბარგებამდე კი, 1949 წლის დასაწყისში, „რივერთან“ ერთად პირველად ვიმოგზაურე ევროპაში. საშინლად ვიმგზავრე, საერთო ჯამში ჰაერში 44 საათი გავატარეთ. მოგზაურობის ბოლო პუნქტი ტურინი იყო, სადაც იტალიურ კლუბთა ნაკრებს შევხვდით. „რივერის“ მიწვევის მიზეზი კი ის იყო, რომ ჩვენთან ბლომად იტალიელები თამაშობდნენ. მეც ხომ წარმოშობით იტალიელი ვარ.

იტალიაში ორი რამ დამამახსოვრდა, პირველ რიგში ის, რომ სანდრო მაცოლა გავიცანი. იმ დროისთვის ის უკვე იტალიელთა კერპი იყო. მან სახლში მიგვიწვია, ცოლი და შვილები გაგვაცნო. ძალიან სასიამოვნო საღამო გავატარეთ. მოედანზე კი მე და მაცოლა გაცილებით გვიან, 1964 წელს შევხვდით, ვენაში, ჩემპიონთა თასის ფინალში, როცა მისმა „ინტერმა“ 3:1 მოგვიგო. თავად მაცოლამ კი ორი გოლი გაგვიტანა. ეს ის დროა, როცა უკვე „რეალში“ ვთამაშობდი.

მეორე, რაც დამამახსოვრდა პაპთან ვიზიტი იყო. მან თითოეულ ჩვენთაგანს ხელი ჩამოგვართვა, შორიდან ჩამოსვლისთვის მადლობა გადაგვიხადა და 1935 წელს თავისი ბუენოს აირესში სტუმრობა გაიხსენა. ვერ აღგიწერთ, როგორი ნეტარება განვიცადეთ, პაპთან შეხვედრით.

ივლისში მე და როსის „რივერის“ ახალ პრეზიდენტს, ვინმე პარდოს, გამოვუცხადეთ, რომ ჯიბეში კოლუმბიაში გასამგზავრებელი ბილეთები გვედო. მოლაპარაკება უაღრესად კორექტულად დავიწყეთ, რა დასამალია და, იმედი გვქონდა, უკეთესი კონტრაქტის შემოთავაზებით ბუენოს აირესში დაგვტოვებდა. მაგრამ პარდომ ბოლომდე არც მოგვისმინა და უხეშად მოგვახალა: სადაც გინდათ წადით, თავში ქვა გიხლიათ. იმწამსვე გავეცალეთ — პარდოსაც და არგენტინასაც. მხოლოდ მამასთან და საცოლესთან გამომშვიდობება მოვასწარი. ის გოგო მერე ჩემი ცოლი გახდა.

ჰო, დამავიწყდა მეთქვა, ბოგოტაში რომ მივემგზავრებოდი, სანტიაგოში ჩაფრენამდე, თვითმფრინავს რაღაც დაემართა. კიდევ კარგი, პილოტმა დასმა მოახერხა, ჩილეს დედაქალაქში კი ექვსი საათი ველოდებოდით, სანამ გაარემონტებდნენ.

სანამ თვითმფრინავს ველოდებოდით, დრო უქმად არ დაგვიკარგავს. მე და როსიმ ჩვენს ძველ მეგობარს, მორენოს დავურეკეთ, რომელიც „კათოლიკაში“ თამაშობდა და კოლუმბიურ პერსპექტივებზე იმდენი ველაპარაკეთ, ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვიდა და მანაც „მილიონარიოსში“ დაიწყო თამაში.







დი სტეფანოს იტალიური შთაბეჭდილებები: სანდრო მაცოლა და პაპი პიუს XII

ბოგოტაში ჩასულებს უამრავი პრობლემა დაგვხვდა, მათგან უმთავრესი კი ისევ და ისევ „რივერი“ იყო. პარდომ შემოგვითვალა, „ტორინოში“ უნდა გაგყიდოთ და უარს ნუ იტყვით, ფიფაში გიჩივლებთ და საერთოდ ჩამოგართმევენ ფეხბურთელის ლიცენზიებსო.

ბლეფი იყო, გაყიდვას არ გვიპირებდა, უბრალოდ სურდა, „მილიონარიოსისგან“ რაც შეიძლება ბევრი ფული დაეცინცლა. პარდოს ხუნდებისგან თავის დასაღწევად იურისტების ჩარევა მოგვიხდა, რომლებმაც „რივერის“ პრეზიდენტი დააშოშმინეს.

ერთი სიტყვით, კოლუმბიაში თავს კარგად ვგრძნობდი. სხვა რომ არაფერი, ამდენი ფული არასდროს მქონია. კარგი ხელფასი, და ყოველი მოგებული თამაშისთვის პრემია — რაც ერთ წელიწადში „მილიონარიოსში“ ვიშოვე, არგენტინაში ათ წელიწადში ვერ მივიღებდი. როცა საშობაოდ ბუენოს აირესში დავბრუნდი, თავი მილიონერად წარმოვიდგინე.

### უცხოელი

მე და როსიმ „მილიონარიოსში“ თამაში რომ დავიწყეთ, სეზონი უკვე დაწყებული იყო. იმ დროისთვის მეორე თუ მესამე ადგილზე ვიყავით, საბოლოოდ კი ჩემპიონები გავხდით.

აი, როსი კი გვარიანად გაწამდა. მას ბუცები არგენტინაში დარჩა და ერთ ხანს ცდა დასჭირდა, სანამ ახალ, 46 ზომა ბუცებს შეუკერავდნენ. თან მაშინდელი ბუცების მორგება იოლი საქმე არ იყო, სანამ არ მოითელებოდა, ფეხს გატკენდა.

ოჰ, ეს როსი. ძალიან სასაცილო ტიპი იყო. ადრე, როცა ტურინში მივემგზავრებოდით, ვიღაც გაეხუმრა, იქ სიგარეტი არ იშოვება და თუ წაიღებ, სარფიანად გაყიდიო. როსის ეს ამბავი ჭკუაში დაუჯდა, იმ ფულით ველოსიპედს ვიყიდიო, გადაწყვიტა. ჰოდა, წარმოიდგინეთ: ჩავფრინდით ტურინიში, როსიმ ძლივს გადმოათრია თვითმფრინავიდან სიგარეტების უზარმაზარი ყუთი და რას ხედავს — მთელი აეროპორტი სიგარეტის რეკლამებითაა აჭრელებული. კინაღამ გული გაუსკდა. ბოგოტაში ვაშაყირებდი: მხოლოდ შენ შეგიძლია, კოლუმბიაში უბუცებოდ ჩასვლა, იტალიაში კი სიგარეტების წაღება-მეთქი.

ბოგოტაში ძალიან კარგ სახლში დაგვაბინავეს. გარშემო სისუფთავე, სიმყუდროვე, სიწყნარე იყო. მეორე სართულზე ვცხოვრობდით. პირველზე სასადილო გვქონდა და დიასახლისიც იქვე ცხოვრობდა. როცა ბინა დაგვიქირავეს, დიასახლისს კლუბის წარმომადგენლისთვის უკითხავს, ხომ წესიერი ბიჭები არიანო. წარმომადგენელმა, ცხადია, თავი დაუქნია, ჩვენ კი გზაში გაგვაფრთხილა, დიასახლისისთვის თავი მოგვეწონებინა. მივედით. დიასახლისმა შემოგვხედა და დამშვიდდა. ცოტა ხანში — მე ქვევით ვიყავი — მეორე სართულიდან როსი კისრისტეხით ჩამოვარდა და მიღრიალა: ალფრედო, ჩემი წიგნები სად არისო. გავბრაზდი და მეც ვუღრიალე, რომელი წიგნები-მეთქი. ის კი ტირილითვე მპასუხობს: რამ გამოგაშტერა, წიგნები კი არა, „შმოტკებზე“ გეკითხებიო. რატომღაც ჩათვალა, რომ დიასახლისის გასაგონად წიგნებს თუ ახსენებდა, მეტი პატივი დაგვედებოდა. დიასახლისი კინაღამ მოსაბრუნებელი გაგვიხდა. აი, ასეთი იყო როსი.

სანამ მივეჩვეოდი, ბოგოტამ საშინლად დამთრგუნა. აბსოლუტურად ყველას შავები ეცვა, თითქოს მთელი ქალაქი მგლოვიარედ იყო. პირველად ვიფიქრე, საყვარელი პრეზიდენტი ხომ არ მოუკვდათ ან სამხედრო გადატრიალება ხომ არ მოხდა-მეთქი. მაგრამ დრო გადიოდა და მსგავსი არაფერი ხდებოდა, ხალხი კი ზამთარ-ზაფხულ შავებში დადიოდა.

ბოგოტაში უთანასწორობა გაცილებით უფრო შესამჩნევი იყო, ვიდრე ბუენოს აირესში. ჩვენ პრივილეგირებულ უბანში ვცხოვრობდით და მეზობლები მხოლოდ თეთრკანიანები გვყავდნენ, მეტწილად ესპანურენოვნები. ზანგები გარეუბნებში ცხოვრობდნენ.

იმ პერიოდში მდიდარი კოლუმბიელები ბლომად ფულს აბანდებდნენ ფეხბურთში. დაახლოებით ორასი უცხოელი შევიკრიბეთ იქაურ კლუბებში რომ ვთამაშობდით. ბევრი ევროპიდანაც კი ჩამოვიდა.

უცხოელები კოლონიებად ვცხოვრობდით. ყველა თავისი გამოვნებით ირჩევდა საცხოვრებელ ადგილს. მაგალითად, არგენტინელები ბოგოტას ვამჯობინებდით, ურუგვაელები — კუკუტას, პერუელები — კალის, ინგლისელები — სანტა ფეს. კოლონიებად არამარტო ქალაქებში, კლუბების მიხედვითაც ვიყავით განაწილებული. „მილიონარიოსი“ არგენტინელების საყვარელი გუნდი იყო, ვთქვათ, პუერტორიკოელები კი „უნივერსიდად დე ბოგოტაში“ თამაშობდნენ. სხვათა შორის, უცხოელები მსაჯებადაც მუშაობდნენ. რამდენიმე მათგანი ინგლისელიც კი იყო.

კოლუმბიის ჩემპიონატის გარდა საერთაშორისო ტურნირებშიც, მათ შორის, ლიბერტადორესის თასზეც გვიწევდა გამოსვლა, სადაც დიდი შანსი იყო, თანამემამულეებს გადავყროდით. ამ ფაქტისადმი ყველას თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა. მაგალითად, ბრაზილიელები ვერ იტანდნენ უცხოეთში მოთამაშე ბრაზილიელებს, ჩვენ, არგენტინელებს კი საკუთარი პრინციპი გვქონდა: სამშობლოში წესიერად რომ მოგვქცეოდით, უცხოეთში არ გადავიკარგებოდით. ახლა კი, ვინც შეგვიფარა და ხელი გამოგვიწოდა, იმისთვის ვითამაშებთ და არგენტინულ კლუბებსაც არ დავინდობთ.

მოკლედ, კმაყოფილი ვიყავი, თვითმფრინავებს თუ არ ჩავთვლით.

კოლუმბიაში ქალაქიდან ქალაქში გადაადგილების სხვა საშუალება არ გვქონდა. კოლუმბია ისედაც მთიანი ქვეყანაა და ჩემდა საუბედუროდ, ყველა ქალაქი, რომელსაც ფეხბურთის გუნდი ჰყავდა, მაინცდამაინც მთის ძირას იყო გაშენებული. მთაში საავტომობილო გზები ისეთ მდგომარეობაში გახლდათ, სიარული დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ბლომად მანქანები ხრამში იჩეხებოდნენ. ჰოდა, რაღა დაგვრჩენოდა, დავფრინავდით. თან თვითმფრინავები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ, მთებზე კი არა, მთებს შორის და ილუმინატორიდან გახედვაც მეშინოდა. ხომ წარმოგიდგენიათ ჩემი მდგომარეობა?! გამოვითვალე, ნახევარ სეზონში 30 საათი გავატარე ჰაერში. ბოლოს კლუბს შევეცოდე და ცოტათი მაინც რომ დავმშვიდებულიყავი, უბედური შემთხვევისგან დამაზღვიეს. ეს მიშველიდა?

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 001 | რაიო-უელვა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 23.00 | 004 | მალიორკა-მალაგა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 005 | სევილია-ვალენსია | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 007 | ალავესი-ვალიადოლიდი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 23.30 | 002 | რასინგი-ოსასუნა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.45 | 003 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 006 | ვილიარეალი-ბეტისი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 24.00 | 008 | ბარსელონა-სელტა | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| 24.00 | 009 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 24.00 | 010 | რეალი-ბილბაო | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXI ტური** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 00.30 | 012 | ლეგანესი-ეიბარი | 1,85 | 3,1 | 3,5 | 1,15 | 1,21 | 1,64 |
| 23.45 | 013 | სალამანკა-ხეტაფე | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,68 |
| 01.30 | 015 | ტენერიფე-ლას პალმასი | 2,25 | 2,8 | 4,2 | 1,24 | 1,46 | 1,68 |
| 00.30 | 019 | ეხიდო-სარაგოსა | 2,3 | 2,8 | 3,3 | 1,26 | 1,35 | 1,51 |
| | | **დანია. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 032 | ფარუმი-ვიბორგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.00 | 033 | მიდტიულანდი-აკადემისკი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 18.00 | 034 | კიოგე-ოდენსე | 6,0 | 4,2 | 1,45 | 2,47 | 1,16 | 1,07 |
| 18.00 | 035 | კოპენჰაგენი-ორჰუსი | 1,25 | 5,3 | 8,0 | 1,01 | 1,08 | 3,18 |
| 18.00 | 036 | სილკებორგი-ბრიონდბიუ | 5,0 | 4,0 | 1,5 | 2,22 | 1,15 | 1,09 |
| 18.00 | 037 | ესბიერგი-ოლბორგი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| | | **რუსეთი. XV ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 048 | ცსკა-ტორპედო | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 16.00 | 049 | ალანია-ურალანი | 1,6 | 3,0 | 4,0 | 1,04 | 1,14 | 1,71 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 050 | მეტალურგი-შინიკი | 2,45 | 2,9 | 2,7 | 1,32 | 1,28 | 1,39 |
| 16.00 | 051 | კრილია-ზენიტი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 16.00 | 052 | ლოკომოტივი-დინამო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 16.00 | 053 | ჩერნომორეცი-როტორი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 16.00 | 054 | როსტსელმაში-სპარტაკი | 2,35 | 3,0 | 2,7 | 1,31 | 1,25 | 1,42 |
| 16.00 | 055 | სატურნი-რუბინი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **შვედეთი. XI ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 060 | იორებრო-ენკიოპინგი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 061 | იორებრო-ენკიოპინგი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 062 | ჰელსინგბორგი-ლანდსკრონა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.00 | 063 | ელფსბორგი-აიკ | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 22.00 | 064 | გიოტებორგი-სუნდსვალი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 065 | იურგორდენი-მალმიო | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **ნორვეგია. XI ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 067 | ლილესტრიომი-სოგნდალი | 2,05 | 3,4 | 3,2 | 1,27 | 1,24 | 1,64 |
| 21.00 | 068 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 21.00 | 069 | მოლდე-ალესუნდი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 070 | მოლდე-ალესუნდი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 21.00 | 071 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1.42 |
| 21.00 | 072 | ლინი-ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 23.15 | 073 | სტაბეკი-რუსენბორგი | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 074 | ბრინი-ბრანი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 086 | ჰიკ-ჰაკა | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 21.00 | 087 | ტურკუ-მიუპა | 3,3 | 3,4 | 2,0 | 1,67 | 1,24 | 1,25 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 118 | კამერუნი-თურქეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 24.00 | 119 | ბრაზილია-აშშ | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 604 | ბარსელონა-ვალენსია | 1,4 | 12,0 | 4,0 | 1,25 | 1,03 | 3 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 606 | პანათინაიკოსი-აეკ | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| | | **კრივი. 21 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 607 | ლუისი-ვ.კლიჩკო | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 22.00 | 2307 | კამერუნი-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2308 | ბრაზილია-აშშ | 1,8 | 1,8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 22.00 | 2207 | კამერუნი-თურქეთი | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2208 | ბრაზილია-აშშ | 2.0 | 1,6 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | | | | | | | |
| 22.00 | 2107 | კამერუნი-თურქეთი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 2108 | ბრაზილია-აშშ | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 22.00 | 2407 | კამერუნი-თურქეთი | 1,9 | 1,9 |
| 24.00 | 2408 | ბრაზილია-აშშ | 1,25 | 3.6 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 2007 | კამერუნი-თურქეთი | 3.2 | 2.1 | 3,0 | 1.26 | 1.54 | 1.23 |
| 24.00 | 2008 | ბრაზილია-აშშ | 1,65 | 2,7 | 6.5 | 1,02 | 1,31 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | |
| 22.00 | 2507 | კამერუნი-თურქეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 2508 | ბრაზილია-აშშ | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ინტერტოტოს თასი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 088 | ბანგორი(უელსი)-გლორია(რუმინეთი) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 20.00 | 089 | ოფკ(სერბეთი)-ტრანსი(ესტონეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 090 | შახტიორი(ბელარუსი)-ომაგი(ჩრდ.ირლანდია) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 091 | ბრნო(ჩეხეთი)-კოტაიკი(სომხეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 092 | დინაბურგი(ლატვია)-ვილი(შვეიცარია) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 093 | დუბნიცა(სლოვაკეთი)-ოლიმპიაკოსი(კვიპროსი) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 094 | დაჩია(მოლდოვა)-გოტუ(ფარერები) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 095 | პარტიზანი(ალბანეთი)-მაკაბი(ნეტანია/ისრაელი) | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 097 | სლობოდა(ბოსნია)-აკურეირი(ისლანდია) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 098 | ეტო(უნგრეთი)-ეთნიკოსი(კვიპროსი) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2.46 |
| 23.00 | 099 | ოდრა(პოლონეთი)-შემროკი(ირლანდია) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 100 | ენკამპი(ანდორა)-ლიერსი(ბელგია) | 14,0 | 6,0 | 1,15 | 4.19 | 1,06 | 1 |
| 19.00 | 101 | ჟალგირისი(ლიტვა)-იორგრიტე(შვედეთი) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 102 | კოპერი(სლოვენია)-ზაგრები(ხორვატია) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 103 | სუტიესკა(სერბეთი)-უნიონი(ლუქსემბურგი) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 20.30 | 104 | ალიანსი(ფინეთი)-ჰიბერნიანსი(მალტა) | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.00 | 105 | პაშინგი(ავსტრია)-ვიტ ჯორჯია(საქართველო) | 1,45 | 3,6 | 5,6 | 1,03 | 1,15 | 2,19 |
| 21.00 | 106 | სპარტაკი(სლოვაკეთი)-პობედა(მაკედონია) | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 107 | ვიდეოტონი(უნგრეთი)-მარეკი(ბულგარეთი) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 108 | პოლონია(პოლონეთი)-ტობოლი(ყაზახეთი) | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 21.00 | 109 | ტამპერე(ფინეთი)-ჩახლაული(რუმინეთი) | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი

ბროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

## ვაჟების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- ჰიუიტი (1) — კარლოვიჩი
- ჰიუბერგერი — ბაკანელო
- დენტი — ლუბიჩიჩი
- მირნი — სპედია (31)
- გონსალესი (19) — მელცერი
- ლუზა — ბიორკმანი
- ლაბაძე — გიმელსტობი
- ჯინეპრი — კლემანი (15)
- შრიჩაფანი (12) — ჰრბატი
- მუტუ — სკილარი
- ნადალი — ანჩიჩი
- ჩაილდსი — დავიდენკო (33)
- რობრედო (25) — აკასუსო
- ვაალი — ვოლანდრი
- ვასკე — რუზეცკი
- სანგვინეტი — როდიკი (5)
- ფედერერი (4) — ლი
- კუბეკი — ქ. როხუსი
- გემბილი — ნორმანი
- ფიში — გაუდიო (29)
- კალერი (23) — ვოინია
- სარეტა — მაკინი
- ლოპესი — კენდრიკი
- ბეკი — იუჟნი (16)
- შიუტლერი (9) — კრატოხვილი
- ვინსიგერა — სანტორო
- ვისენტე — ტ. მარტინი
- ვან ლოტუმი — კუერტენი (17)
- ჩელა (32) — ბერენდი
- ჰანესკუ — პორტასი
- კარლსენი — ლაპენტი
- პარმარი — შალკენი (8)
- ნალბანდიანი (6) — ვოლჩკოვი
- სა — პუერტა
- ნორმანი — სუძუკი
- კუჩერა — ფერეირა (28)
- ვერკერკი (21) — სოდერლინგი
- ელსნერი — კიფერი
- სანჩესი — ლორდა
- კორეჩა — ჰენმანი (10)
- გროჟანი (13) — ენკვისტი
- ა. მარტინი — არტურსი
- მუდი — როსე
- ნიემეიერი — მანტია (22)
- ბლეიკი (26) — ლარკემი
- სარგსიანი — ბოგდანოვიჩი
- ეხკუდი — ეკონომიდისი
- ლისნარი — ფერერო (3)
- კორია (7) — ო. როხუსი
- ბლუნფილდი — დიუპუი
- სტეპანეკი — ბუტე
- ვერდასკო — ნიემინენი (30)
- კაფელნიკოვი (20) — სლოიტერი
- არაზი — პოპი
- ფერერი — მ. ლი
- ორნა — ნოვაკი (11)
- მალისი (14) — სოლნიე
- საბალეტა — ფილიპუსისი
- დრეიპერი — მატიუ
- მერტინაკი — სტეპანეკი (35)
- ელ აინაუი (27) — ჰილტონი
- კრაიანი — მასუ
- ბურგსმიულერი — მონტანესი
- დელგადო — აგასი (2)

## უიმბლდონი 2003

# ეს უიმბლდონეა!
## ბებრის ჯადო თუ ახლის ხალისი?

*ჩოგბურთის ტრფიალთ ჯერ ხეირიანად როლანგაროსული ზარხოშიც არ გამოგვნელებია, ყურადღება წლის მორიგ, მესამე და, ვინძლო, ყველაზე სასურველ სლემტურნირზე უნდა გადავრთოთ.*

*ლონდონური სეფეკოინდარი თავისი კუნძულური ხიბლიანობით, ზურმუხტოვნებითა და მარწყვოსნობით მსოფლიოს უჩაუქეს მეჩოგნეთ ისე მოელის, როგორც რომ მხურვალე ხვადის მოლოდინში გალურსული ფერია.*

*ვის ერგება საჩოგბურთო ამქრის უპრესტიჟულესი ჯილდოები? შეძლებენ ლეიტონ ჰიუიტი და სერენა უილიამსი შარშან მონაგრულ ტიტულთა და ქულათა დაცვას, თუ უმაღლეს კვარცხლბეკზე უფრორე შემართულსა და იღბლიან რაყიფებს აუშვებენ? როგორ განაწილდება წლეულს ერთი მილიონი დოლარით გაზრდილი, საარაკო — 17 074 000-დოლარიანი საპრიზო ფონდი?*

*ამ კითხვებზე პასუხისცემა ორშაბათიდან დაიწყება. ამბავი ორ კვირას გასტანს და ნაიმორკვირევს ყველაფერი დასტურ და დაწვრილებით გვეცოდინება*

ლეიტონ ჰიუიტის საარაკო შარშანდელმა გარჯამ სულ მცირე ერთწლიანი წერტილი დაუსვა უიმბლდონზე „მოაწოდემიეძალე" ყაიდის მეჩოგნეთა ოცწლოვან ზეობას. მავანნი ფიქრობენ, რომ ზორბა და გლაჯუნა კაც მობურთალებს კიდევ რამდენიმე სეზონი დასჭირდებათ, რათა სეფებალახსაფარზე საჩემპიონოდ გარონიების უფლება დაიბრუნონ.

ჰო — მართლაც წარსულს ჩაბარდა ის დღეები, როცა პიტ სამპრასი უალტერნატივო მეფე იყო და კაცთა შორის სავარაუდო ჩემპიონს სამი ან ოთხი მეჩოგნის სიიდან ვარჩევდით.

შვიდგზის უიმბლდონსანი ამერიკელი წლეულს ტელევიზორს ჩაუჯდება, ისევე როგორც სხვა „ნაფიცი" მებალახენიც — ორგზის ფინალისტი, ავსტრალიელი პატ რაფტერი, რომელიც ჯალაბთან ერთად ბერმუდზე სახლობს, ტრავმირებულ გორან ივანიშევიჩი, უიმბლდონის 2001 წლის პირველოსანი და ლონდონურ კოინდარზე 1996-ში გაჩემპიონებული რიხარდ კრაიჩეკი, სახელიანი დაჩკაცი, ვინაც გუშინწინ თავისი სვიანად ნაქნევი ჩოგანი საგვარეულო ღედაბოძზე ჩამოკიდა.

წლევანდელ საუიმბლდონო მეოთხეულიდან ალბათ მხოლოდ შვეიცარიელ როჯერი ფედერერზე თუ ითქმის, რომ „მოაწოდემიეძალე" ტიპის მეჩოგნეა, ოთხგზის ნახევარფინალისტი, დახვეწილი ბრიტანელი ტიმ ჰენმანი კი, თუმცა ჯიშად მებალახეა, მაგრამ მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ძველებურად ველარ ჩაუქრობს.

გამარჯვებულის გამოცნობას ისიც ართულებს, რომ ტურნირის მთავარგანთესილი, შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი ფორმაში ვერ არის, ხოლო ამქრის ამჟამინდელი პირველმჩოგნე, 33 წლის ანდრე აგასი, რომელსაც იქ შორეულ 1992-ში უპირველია, ადვილად შეიძლება, უეცრად გამომტყვრალმა რომელიმე ვირგლამ იმსხვერპლოს.



ლეიტონ ჰიუიტი

ოღონდ — იმის მიუხედავად, რომ შარშანდელ უიმბლდონობაზე ჯადო ანდრანიკი მეორე წრეშივე და ისიც პიტალო ტაილანდელმა შრიჩაფანმა დათრგუნა, ხოლო საწინაკვირაო სტელა არტუას ჩემპიონატზე მან ლონიერ თვისტომ ენდი როდიკთან დათმო, ტურნირს ის მაინც საყოველთაო (და არა — მაინცდამაინც სენტიმენტალური) ფავორიტად დაიწყებს.

„ის ჯანზეა და, ვინძლო, ისევე მარდი, როგორც თავის ყმაწვილობისას — ამბობს მისი მწვრთნელი, ავსტრალიელი დარენ კაილი — ანდრეს უყვარს თამაში, უყვარს საკუთარი შესაძლებლობის გამოცდა და ცდილობს, ყოველდღიურად განვითარდეს, გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე გუშინ იყო."

მისტერ კაილი და სხვა, მისდარად საქმეში ჩახედული ხალხი ამ დღეებში ასეთივე სითბოთი საუბრობენ ლეიტონ ჰიუიტზეც. გაუტეხელი, კისკასი ოზბიჭი აგასიზე 11 წლით უმცროსი კია, მაგრამ მას ძალიან ბევრი რამით ჩამოჰგავს და ამას გარდა, როგორც ერთხელ პიტ სამპრასს უთქვამს — „ჩოგბურთის ყველაზე სწრაფ ბორბლებზე დაჰქრის."

ჰიუიტი ეს-ესაა თავის ამაგდარ მწვრთნელს ჯეისონ სტოლტენბერგს დასცილდა და სტელა არტუაზე ძალზედ არადამაჯერებლად იჩოგნავა. მაგრამ დარენ კაილი მაინც იმედოვნებს, რომ მისი ორგზის სლემტიტულოსანი თვისტომი უიმბლდონზე ისევ შემართული, აჯაგრული და აცეცხლებული გამოვა.

„ის გაუტეხელი ბიჭია და მისი მორევა ნებისმიერს გაუჭირდება — ამბობს კაილი — ყველაზე კარგი კი ალბათ ის იქნება, თუკი მისი და ანდრეს ფინალს ვიხილავთ. ჩემის აზრით, ეს მართლაც საოცნებო ამბავია."

თუმცა ფინალამდე რთული გზა ძევს და ჰიუიტსაც და შებერებულ ჯადოქარსაც სახიფათო, მძლავრ მეტოქეებთან ჯახი მოელით. ასე მაგალითად — თუკი ყველაფერი „სარეიტინგო ლოგიკის" მიხედვით წარიმართა, ავსტრალიელი მეოთხედფინალში ენდი როდიკს უნდა ეძავოს და — მრავალთა აზრით — ძალიან, ძალიან უნდა გაუჭირდეს. ენდიბოო ახლა სანაქებო ფორმაშია და სტელა არტუაზე კარიერის პირველ საბალახსაფარო ტიტულის მოპოვების შემდეგ სპეციალისტებს თავი უიმბლდონობის ერთ უმთავრეს ფავორიტად აგულებინა.

აგასის წილ ბადეში კი ისეთი არაპროგნოზირებადი ოყლაყები ბუდობენ, როგორიც რუსი მარატ საფინი და ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი არიან.

„ჰო, აქ ბევრია განუთესავი, მაგრამ ძალზედ ძლიერი მეჩოგნე — ამბობს დარენ კაილი — შესაძლო მესენსაციეთა შორის ფილიპუსისი პირველ რიგში უნდა ვახსენოთ, რაკიღა ბალახზე ჭიპი აქვს მოჭრილი. იოლ გასეირნებას ვინმე არც ნიკოლა ესკუდთან უნდა ელოდოს."

ამათ გვერდით ჩამოითვლებიან სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა, ეგევე შრიჩაფანი, ამერიკელი ტაილორ დენტი და, ცხადია, ბრიტანული წყვილი — ტიმ ჰენმანი და გრეგ რუზეცკი. ჰენმანზე ზემოთაც მოგახსენეთ — ნაოპერაციევს ჯერ ბოლომდე ვერ მოუჯინჩებულა, თუმცა ინგლისელები მისგან მაინც გამოელიან ჩვეულ თავდადებასა და ნატიფჩოგნაობას. მათ არც გაემტყუნებათ — რაკიღა ფრედ პერის შემდეგ, ვინაც იქაურ ზურმუხტოვანზე უშორეს 1930-იან წლებში შმაგობდა, უიმბლდონური მთავარჯილდო ბრიტანელ კაცებს ვერც ერთხელ ველარ შეუმართავთ.

ისე კი — ჰენმანზე მეტად კუნძულელებმა ალბათ მაინც ყუმბარისებრად მოგლაჯუნე გრეგ რუზეცკიზე უნდა ჩაფსონონ. მართალია, ცხრათვიანი უქმობის შემდეგ ის კორტს მხოლოდ ახლახანს მიუბრუნდა, მაგრამ ბალახზე მაინც დარდიმანდად ირჯება და ამ სიტყვებს რომ კითხულობთ, ეგებ უკვე ნოტინგემურ ფინალსაც იგებს.

რაც შეეხებათ ესპანელ მეთიხნარეებს — ჯერაც ვერშეგუებულ ბრიტანულ სლემბალახზე საჩოგნაოდ ისინი განსაკუთრებული ამბიციებისა და იმედების გარეშე ჩადიან. მათი ყოჩი, 23 წლის ხუან კარლოს ფერერო, რომელმაც ორი კვირის წინ პარიზულ სეფეთიხნარზე კარიერის პირველი სლემტიტული მოირეწა, იქ ორჯერ გამოსულა და მესამე წრეს ერთხელაც ვერ გასცილებია. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შარშანდელი ფინალური წყვილიდან ორივე — ჰიუიტიცა და არგენტინელი დავიდ ნალბანდიანიც მეუკანახაზენი არიან (ე. ი, ბადესთან მიჭრას უკანა ხაზიდან ხათქა-ხუთქს არჩევენ), ეგებ ბასრსა და ნიჭიერ ესპანელსაც ჰქონდეს რაღაც შანსები.

სხვაფრივ — მუხლის ტრავმის გამო ტურნირს ბოლო მომენტში გამოაკლდა შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონი ალ კოსტა. თუმც ტურნირისთვის ეს დიდი დანაკარგი არ უნდა იყოს — კოსტას უიმბლდონზე 1999 წლის შემდეგ ისედაც არ ეთამაშა და იმიტომ.



ანდრე აგასი

## უიმბლდონის ჩემპიონი ვაჟები 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2002 | ლეიტონ ჰიუიტი | 1987 | პატ კეში | 1973 | იან კოდეში — ალექსანდრე მეტრეველი 6:1, 9:8, 6:3 |
| 2001 | გორან ივანიშევიჩი | 1986 | ბორის ბეკერი | 1972 | სტენ სმიტი |
| 2000 | პიტ სამპრასი | 1985 | ბორის ბეკერი | 1971 | ჯონ ნიუკომბი |
| 1999 | პიტ სამპრასი | 1984 | ჯონ მაკინროი | 1970 | ჯონ ნიუკომბი |
| 1998 | პიტ სამპრასი | 1983 | ჯონ მაკინროი | 1969 | როდ ლეივერი |
| 1997 | პიტ სამპრასი | 1982 | ჯიმი კონორსი | 1968 | როდ ლეივერი |
| 1996 | რიჩარდ კრაიჩეკი | 1981 | ჯონ მაკინროი | 1967 | ჯონ ნიუკომბი |
| 1995 | პიტ სამპრასი | 1980 | ბიორნ ბორგი | 1966 | მანუელ სანტანა |
| 1994 | პიტ სამპრასი | 1979 | ბიორნ ბორგი | 1965 | როი ემერსონი |
| 1993 | პიტ სამპრასი | 1978 | ბიორნ ბორგი | 1964 | როი ემერსონი |
| 1992 | ანდრე აგასი | 1977 | ბიორნ ბორგი | 1963 | ჩაკ მაკკინლი |
| 1991 | მიხაელ შტიხი | 1976 | ბიორნ ბორგი | 1962 | როდ ლეივერი |
| 1990 | სტეფან ედბერგი | 1975 | არტურ ეში | 1961 | როდ ლეივერი |
| 1989 | ბორის ბეკერი | 1974 | ჯიმი კონორსი | 1960 | ნილ ფრეიზერი |
| 1988 | სტეფან ედბერგი | | | | |

## უიმბლდონი 2003



ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი

# რასა იქმს რასა შავი და თეთრი?

ისინი ერთმანეთს ძალიან არ ჰგვანან, მაგრამ ამქრის უდიდესი ნაწილი მათ მაინც დებად, „ბელგიელ დებად“ აღიქვამს.

ერთი ფლამანდურად ლაპარაკობს, მეორე — ფრანგულად, ხოლო მათი სათამაშო სტილები ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მათი სხეულები. მაგრამ კიმ კლაისტერსსა და ჟუსტინ ენენ-არდენს ერთი დროშის გარდა ერთი მიზანიც აერთიანებთ — მათ სურთ, ბოლო მოუღონ შავდა უილიამსების სლემდომინაციას.

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია — ზედიზედ ოთხი შიდაუილიამსური სლემფინალის შემდეგ წლევანდელ როლანგაროსობაზე ჩვენ უკვე შიდაბელგიური სლემფინალი ვიხილეთ.

მეორე ნაბიჯის გადადგმას ფუმფულა კიმი და ციდა ჟუსტინი უიმბლდონზე ეცდებიან.

კიმი მეორე ნომრადაა განთესილი და რამე სისულელე თუ არ მოხდა, ფინალში გასასვლელად ვინუსს შეერკინება. როლანგაროსობის ფინალში მისი მძლეველი ჟუსტინი კი ტურნირზე რანგით მესამე ჩოგანს გააქნევს და ნახევარფინალში კვლავ სერენასთან იომებს.

ასე რომ — შეიძლება ან კიდევ ერთი შიდაუილიამსური ფინალი ვიხილოთ, ანაც ზედიზედ მეორე — შიდაბელგიური.

წინასაუიმბლდონო „ქალური“ კითხვებიც ძირითადად სწორედ ამ ოთხ ცუგრუმელა გოგოზე დაისმის...

ეგებ გახსოვდეთ — პარიზულ ნახევარფინალში ენენ-არდენმა ტიტულდამცველ სერენა უილიამსს სძლია.

ამ ძლევამ არამარტო უილიამსების მოუწყვლელობის მითი შემუსრა, არამედ იმედით აღავსო სხვები, სრულად ქალთა ჩოგბურთს კი მამა რიჩის ასულთა ულლისგან გათავისუფლების ლაღი პერსპექტივა დაუსახა.

„კარგია, როცა ფინალში სხვა მოთამაშეების ხილვაც შეიძლება — ამბობდა პარიზული ფინალის შემდეგ ენენ-არდენი — კარგია ქომაგისთვისაც და მთლიანად ქალთა ჩოგბურთისთვისაც. სერენამ ისედაც ბევრი მოხაფა. ჰოდა, ახლა დროა, რაღაც-რაღაცები სხვებსაც დაუთმოს.“

ერთი შეხვედრა სერენას კიმ კლაისტერსმაც დაათმობინა. საქმე ლოს-ანჯელესში, შარშანდელი სეზონდამაგვირგვინებელი ტურნირის ფინალში მოხდა.

იმ მოგების შემდეგ კიმმა თქვა, რომ ბოლოს და ბოლოს მიაგნო უილიამსების დასამხობ „მაგიურ ფორმულას“ — „უფრო მობილიზებული და სტაბილური უნდა იყო... თუკი ამას მოახერხებ, მათი დამარცხება შესაძლებელია.“

და რას აკეთებს ამ დროს თავად შავი ლაზიერი, რომლის შესახებაც — სრულიად უჩვეულოდ — წინასასლემტურნირო მინცამონცმაში სიტყვა მხოლოდ ტექსტის შუაწელზეღა ჩამოგვივარდა?

პარიზული გამწარების შემდეგ სერენა ფლორიდაში დაბრუნდა და სალონდონოდ გეშვა იქაურ კოინდრებზე დაიწყო. ორკვირიანმა წვრთნამ მის ჩოგანს ბალახის გემო დაუბრუნა და, როგორც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ახლა ყველაფერი რიგზე აქვს.

„მოწოდება გამოვასწორე და ყველაზე მეტად ეგ მახარებს — თქვა მან — პარიზში საზიზღრად ვაწოდებდი. სწორედ ამის გამო იყო, ნახევარფინალში თითქმის მოგებული შეხვედრა რომ დავთმე...“

მაშ — სერენა მზადაა და მისი ტახტის შემრყევთ ბარაქიანი ლაწა-ლუწით ემუქრება...

საბოლოო წერტილიც, ეტყობა, აქ უნდა დაგვესვა — ამერიკულ-ბელგიური კვარტეტი ამქარში ახლა ისე გამოირჩევა, რომ დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას — ორი კვირის თავზე საუიმბლდონო განსხვავებულიდან სწორედ ერთ-ერთი მათგანი მოწრუპავს.

ჯენიფერ კაპრიატი? — ის ახლა ძალიან ისე-რა ფორმაშია. ლინდსი დევენპორტი? — მას ახლა ფეხის ნერვი აწუხებს და ეგეც არ იყოს — უკვე აღარც ისე წიწკვი, უსხარტეს ზეოთხეულთან ტოლსწორად საპაექროდ ვეღარც საკმარის ილაჯს მოიძევს და ვეღარც სათანადო სიცქაფეს.

ამელი მორესმოს ფსიქოსიმყარე აკლია, დანიელა ჰანტუხოვა კი უწესრიგო კვებამ ისე გამოამჭლევა, ლამის სერენას ერთმა ბარძაყმა გადაწონოს. არა — სლემჯილდოს სიმძიმის გასაძლებად მისი სხეული ჯერ კიდევ ძალზედ უმწიფარია.

ასე რომ — ტიტული ან ისევ უილიამსთა ოჯახში დარჩება, ანაც ორი კვირის წინ „გახსნილი“ ბელგიური სლემღიდების ღარბაზში დაივანებს.

**ლევან ძელაურაძე**





სერენა და ვინუს უილიამსები

## უიმბლდონის ჩემპიონი ქალები 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2002 | სერენა უილიამსი | 1987 | მარტინა ნავრატილოვა | 1972 | ბილი ჯინ კინგი |
| 2001 | ვინუს უილიამსი | 1986 | მარტინა ნავრატილოვა | 1971 | ივონ გულაგონგი |
| 2000 | ვინუს უილიამსი | 1985 | მარტინა ნავრატილოვა | 1970 | მარგარეტ სმიტ კორტი |
| 1999 | ლინდსი დევენპორტი | 1984 | მარტინა ნავრატილოვა | 1969 | ენ ჰეიდონ ჯონსი |
| 1998 | იანა ნოვოტნა | 1983 | მარტინა ნავრატილოვა | 1968 | ბილი ჯინ კინგი |
| 1997 | მარტინა ჰინგისი | 1982 | მარტინა ნავრატილოვა | 1967 | ბილი ჯინ კინგი |
| 1996 | შტეფი გრაფი | 1981 | კრის ევერტ ლოიდი | 1966 | ბილი ჯინ კინგი |
| 1995 | შტეფი გრაფი | 1980 | ივონ გულაგონგ კოული | 1965 | მარგარეტ სმიტი |
| 1994 | კონჩიტა მარტინესი | 1979 | მარტინა ნავრატილოვა | 1964 | მარია ბუენო |
| 1993 | შტეფი გრაფი | 1978 | მარტინა ნავრატილოვა | 1963 | მარგარეტ სმიტი |
| 1992 | შტეფი გრაფი | 1977 | ვირჯინია უეიდი | 1962 | კარენ ჰანც სუსმანი |
| 1991 | შტეფი გრაფი | 1976 | კრის ევერტი | 1961 | ანჯელა მორტიმერი |
| 1990 | მარტინა ნავრატილოვა | 1975 | ბილი ჯინ კინგი | 1960 | მარია ბუენო |
| 1989 | შტეფი გრაფი | 1974 | კრის ევერტი | | |
| 1988 | შტეფი გრაფი | 1973 | ბილი ჯინ კინგი | | |

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

ს. უილიამსი (1) — კრეიბასი
კალენსი — რიტნერი
სტოიკოვა — პერებიუნისი
ჟიდკოვა — გრანვილი (28)
შონესი (19) — კაპროსი
გარსია — სუხა
პარა — ონდრაშკოვა
რიოში — დემენტიევა (15)
მისკინა (10) — ნაგიოვა
კრასნორუცკაია — პულინი
შეტი — მარერო
სეკურა — მარტინესი (18)
ტანასუგარნი (32) — მორიგამი
სპრემი — ბენეშოვა
ირვინი — მიქაელიანი
კაზანოვა — კაპრიატი (8)
ენენ-არდენი (3) — ვაკულენკო
მორარიუ — პენეტა
საფინა — მოლიკი
ლი-ვოტერსი — ლიხოვცევა (31)
რეიმონდი (32) — ფორე
ოდონაპიუ — ვაინგარტნერი
პირსი — კარგილი
კოსტანიჩი — დანილიდუ (14)
დოკიჩი (11) — ბალტაჩა
გალიარდი — ალორო
შარაპოვა — პარკლროუდი
ობატა — ბოვინა (21)
სტივენსონი (26) — ლუა
ოსტერლო — კამერონი
ტორენს ვალერო — ჩო
ბეილიკი — მორესმო (6)
დევენპორტი (5) — სტოსური
გრანდე — ვარტუში
ბლეკი — კლეინოვა
კუკალოვა — ხლადკოვა (30)
ძუცერი (17) — რანდრიანტეფი
კუზნეცოვა — სკიავონე
ჯ. ლი — ასაგოე
ბარტოლი — ჰანტუხოვა (9)
ზვონარიოვა (16) — დომინიკოვიჩი
მარტინეს-გრანადოსი — სერა ძანეტი
გულიკსონი — ტულიაგანოვა
მანდულა — შნიდერი (20)
პეტროვა (29) — გაბრიჩი
კულიკოვსკაია — ვიჯაჯა
კეუტავონგი — სრებოტნიკი
ხროზენსკაია — ვ. უილიამსი (4)
რუბინი (7) — მაიოლი
ტალაია — ფრეზერი
პრატი — დრეიკი
ლორენსო — ფარინა ელია (27)
სერნა (24) — პასკუალი
პისნიკი — მატევეიჩი
სუარესი — ტაილორი
ბარნა — მალეევა (12)
სუგიამა (13) — ალი
ჩერვანოვა — ფისლოვა
ბედანოვა — პუჩეკი
ჰუსაროვა — დეში (22)
პისტოლეზი (25) — რივზი
სულუაგა — ფერნანდესი
რაზანო — როდიონოვა
დე ლოს რიოსი — კლაისტერსი (2)

# ბრაიკოვიჩმა პატარკაციშვილს ჩემპიონთა თასი გაურიგა

საქართველოს ეროვნული გუნდისა და „დინამოს“ თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი შვებულებიდან მოიჩქაროდა — ორშაბათს საქართველოს ნაკრების შეკრება ჰქონდა დანიშნული.

შვებულება კი ისეთი გამოუვიდა, ბევრ საქმიან ვიზიტს სჯობდა. ბრაიკოვიჩმა თბილისის „დინამოს“ „სამალარიჩო“ საქმე „გაურჩარხა“, და თუ დინამოელთა მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილიც დასტურს ბრძანებს, ნამდვილ კალათბურთის დანატრებულებს ეგებ სანადელიც აგვიხდეს...

ნაკრებით დავიწყეთ და „დინამოსკენ“ კი გადავუხვიეთ. ზუსტად ასე გადაუხვია ბატონმა დრაჟენმაც, როცა სანაკრებო ამბების გასაგებად შინ, ბარნოვის ქუჩაზე მდებარე კოპწია ბინაში ვესტუმრეთ. სანაკრებო თემაზე პრესკონფერენციას ამ დღეებში გავმართავ და ყველაფერს იქ გაიგებთ, ახლა კი „დინამოზე“ გესაუბრებით, თანაც ერთი კარგი ამბავი მაქვსო... და მოგვიყვა ეს ამბავი:



დრაჟენ ბრაიკოვიჩი ქართულ საქმეებს მოედანსგარეთაც აგვარებს

— შვებულებაში ყოფნისას ჩემს მეგობარს, ფიბა-ევროპის ვიცე-პრეზიდენტ ბორისლავ ლალიჩს შევხვდი და დახმარება ვთხოვე, ეგებ ისე გააკეთო, თბილისის „დინამომ“ რომელიმე მაღალი დონის ევროტურნირში მიიღოს მონაწილეობა-მეთქი. საბოლოოდ ჩემთვის საუკეთესო ვარიანტზე შევთანხმდით. სავარაუდოდ, მომავალ სეზონში „დინამო“ ჩემპიონთა თასზე ითამაშებს.

**— ეს ძალიან სერიოზული ტურნირია და მის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად, რამდენიმე საკვალიფიკაციო ეტაპია გასავლელი. თანაც ასე უცებ როგორ გადაწყდა ყველაფერი?**

— სიტყვიერი თანხმობა უკვე მივიღე. ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობამ მითხრა, ჩემპიონთა ლიგაში თამაში გარანტირებული გაქვთო, მაგრამ ეს ამბავი საბოლოოდ მაშინ გადაწყდება, როცა ბეჭედდასმულ ფაქსს მივიღებ.

**— გამოდის, ნაცნობობით გააკეთეთ ეს საქმე...**

— რა ვიცი, ალბთ ეგრეც შეიძლება ითქვას. ყოველ შემთხვევაში, „დინამოს“ ჩემპიონთა თასზე თამაშით წესდებას და ფიბა-ს პრინციპებს არ დაარღვევენ. ფიბა-ს აქვს პროგრამა, რეგიონებში კალათბურთის განვითარების შესახებ, ჰოდა, „დინამოს“ ამ ტურნირზე დაშვების ერთ-ერთი მოტივიც ეს პროგრამაა. ჩემპიონთა თასზე ევროპის წამყვან ქვეყნებს — იტალიას, ესპანეთს, საბერძნეთს, რუსეთს გარანტირებული ადგილები აქვთ. არსებობს კიდევ რამდენიმე „ვაილდ ქარდი“, „დინამოც“ სწორედ ამ მოსაწვევით დაიშვება ტურნირზე.

**— მზად ხართ ასეთი მაღალი დონის ტურნირში სათამაშოდ?**

— ყველაფერი „დინამოს“ მეპატრონეზე, ბადრი პატარკაციშვილზეა დამოკიდებული. მას ამ დღეებში შევხვდები და საბოლოოდ გაირკვევა ყველაფერი. თუ ბატონმა ბადრიმ ისურვა, ცხადია, ჩემპიონთა თასზე ვითამაშებთ კიდეც.

**— მხოლოდ მონაწილეობის საკითხი გაქვთ „დინამოს“ მეპატრონესთან შესათანხმებელი?**

— რა თქმა უნდა, არა. თუ ჩემპიონთა თასზე ვითამაშებთ, გუნდიც სერიოზულად უნდა გავაძლიეროთ. გაჩნია, რა შედეგს მოგვთხოვს პატარკაციშვილი, თუ ჯგუფიდან გასვლა დავგეგმეთ, დიდი ფული იქნება საჭირო. წინასწარ არ მინდა ამაზე ლაპარაკი, ყველაფერი პატარკაციშვილთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება.

**— კი, ბატონო, პატარკციშვილმა რომ გითხრათ, ფული ჩემი და შედეგი თქვენიო, რას შვრებით მერე, ძლიერ გუნდს ასე უცებ შეკრებთ?**

— უკვე შევარჩიე სავარაუდო შემადგენლობა, რამდენიმე ლეგიონერიც შევათვალიერე და თუ კლუბის ხელმძღვანელობისგან თანხობას მივიღებ, უკვე 20 დღეში შემიძლია ბრძოლისუნარიანი შემადგენლობის შეკრება.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ყველა შეგულებული მოთამაშე დაგთანხმდებათ „დინამოში“ თამაშზე?**

— ასეთი კარგი პირობები, „დინამოში“ რომ ექნებათ, არა მგონია, ვინმემ იუაროს.

**— ჩვენ სულ „დინამოს“ მომავალზე ვლაპარაკობთ... დღეს რა ხდება გუნდში?**

— ყველანი შვებულებაში არიან, ვინ წავა და ვინ დარჩება, „დინამოს“ საჩემპიონთათასო გეგმებზეა დამოკიდებული.

**— ორშაბათს ნაკრების კანდიდატები რომ შეიკრიბებიან, ალბათ მათგანაც შეარჩევთ „დინამოსთვის“ რამდენიმეს, კლუბი რომ ჩაიბარეთ, ხომ თქვით, „დინამო“ ნაკრების საბაზო გუნდი იქნებაო...**

— ცხადია, ნაკრების კანდიდატებიდან ვინც მომეწონება, ვეცდები, „დინამოში“ გადმოვიყვანო.

**— ნაკრების კარგი საბაზო გუნდი გეყოლებათ, „დინამოში“ ქართველ ლეგიონერებსაც თუ გადმოიბირებთ.**

— როგორ არა, მინდა, სტეფანია, ცქიტიშვილი, ბოისა, ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი გუნდში მყავდეს, მაგრამ ვინ მომცემს, ვინაა ამათი დამთმობი?

**— მომავლის „დინამო“ ჩემპიონთა თასის მოსაგებად იქნება მომართული თუ საქართველოს პირველობისთვის? რა სათამაშო სტილზე გააკეთებს აქცენტს?**

— დაცვა, დაცვა და მხოლოდ დაცვა. საქართველოში ამ პოზიციაზე თამაში არ იციან. როცა დაცვას გამართავ, ნაღდ კალათბურთსაც მაშინ ითამაშებ.

**— ალბათ სწორედ დაცვის ბრალი იყო, რომ შემადგენლობით შედარებით სუსტ „ბასკოსთან“ ფინალური სერიის ორი მატჩი წააგეთ.**

— „ბასკო“ ძალიან ძლიერი გუნდია, დაცვაშიც კარგად თამაშობდა და შეტევაშიც, რა თქმა უნდა ჩვენი ჩემპიონატის დონეზე. ბათუმლებს ჰყავთ ძალიან ნიჭიერი კალათბურთელი — გიორგი ცინცაძე.

**— „დინამომ“ ამ ბიჭს ხომ არ დაადგა თვალი?**

— ცინცაძეს „ბენეტონმა“ დაადგა თვალი და, „დინამო“ რა მოსატანია...

**— თქვენ ცინცაძე ნაკრებში მიიწვიეთ, გამოცდილი დავით თორთლაძე კი არა...**

— ცინცაძე, ელენტი, ტულუში — თორთლაძე დღეს ამათ ვერ სჯობს და იმიტომ... მოიცათ, ნაკრებზე ხომ არ უნდა გვესაუბრა?

**— კარგით, მაშ ბოლო კითხვა: ვთქვათ, „დინამომ“ მომავალ სეზონში ტიტული ვერ შეინარჩუნა, ჩემპიონთა თასზე საქართველოდან ვინ ითამაშებს?**

— ცხადია, ჩემპიონი. ეს საქმე მხოლოდ „დინამოსთვის“ არ გამიკეთებია, თუ ჩემი გუნდი მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასზე გავიდა, მერე ვინც გახდება საქართველოს ჩემპიონი, ამ ევროტურნირშიც ის ითამაშებს.

**ირაკლი ბერტაია**

# ბოისას ქართული პასპორტი გაუხუნდა

## კიდევ კარგი, გოიმებთან წავაგეთ

*უიღბლო ქართველ ლეგიონერთა სიას გუშინწინ ღამით ვლადიმერ ბოისაც შეემატა. არადა, რომ გვეგონა, ეგაა და, „ოლიმპია“ სლოვენიის ჩემპიონიაო, ფინალური სერია პროვინციულ, თუმც სახელიან ხორვატ სპეციალისტ ნევენ სპაჰიას განვრთნილ „კრკასთან“ წააგო. ეს მეორე შემთხვევაა დამოუკიდებელი სლოვენიის ისტორიაში, როცა „ოლიმპია“ ჩემპიონი ვერ გახდა. ლუბლიანური გრანდის 9-წლიანი ბატონობა შარშანწინაც „კრკამ“ დაამხო. ოლიმპიელთა წლევანდელი ლიდერი ბოისა, მისივე თქმით, ფინალური სერიის არც ცუდი და არც გამორჩეული მოთამაშეა, მაგრამ ფიქრობს, რომ თავისი გასაკეთებელი მაინც გააკეთა. გადამწყვეტ მატჩსა და სამომავლო გეგმებზე ბოისა გუშინ გვესაუბრა და ისიც გვითხრა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი სლოვენიის მოქალაქე გახდება...*



— „კრკა“ ძალიან უხერხული მეტოქე გამოდგა, სტუმრად, ნოვო მესტოში ვერაფრით დავამარცხეთ. რეგულარულ ჩემპიონატშიც ამით გვაჯობა, გასვლაზე ვერ მოვუგეთ. არადა, ლიუბლიანაში ალბათ ასიდან ასს მოვუგებთ.

**— ასეა თუ ისე, ჩემპიონი „კრკაა“, გადამწყვეტი მატჩი მოიგო...**

— დამსახურებულად მოიგეს, მაგრამ თამაში რომ გენახა, ნაღდად შეგეცოდებოდა „ოლიმპია“, თითქმის მთელი თამაში ვიგებდით, 10 ქულაზე მეტითაც, მაგრამ ბოლომდე ვერ გავუძელით. თანაც რა ვქნა, უნდა ვთქვა, მასპინძლებს მსაჯებმა წაშველეს ხელი: ბოლო წუთებზე ორჯერ უხეშად შეცდნენ: „კრკას“ ლიდერი ჯემი არნოლდი ჩვენიანს შეეჯახა, სამიდან ორმა მსაჯმა მასპინძელი დააჯარიმა, ერთმა კი ჩვენიანი. რატომღაც იმ ერთის სიტყვამ გაჭრა. იგივე განმეორდა ოციოდ წამში, ოღონდ გარბენის გამო, ისევ იმ მსაჯმა გადაწყვიტა ყველაფერი და ისევ ჩვენს საზიანოდ.

**— ეტყობა, ის მთავარი მსაჯი იყო და ბოლოს სიტყვა ეკუთვნოდა...**

— არა, სლოვენიაში ყველა მსაჯი თანასწორია.

**— ისე გამოდის, მსაჯების ბრალია, ჩემპიონები რომ ვერ გახდით...**

— მინდა მჯეროდეს, რომ ეს მართლაც შეცდომა იყო და მსაჯები მასპინძლებს არ მისდგომიან. ისე, რა მიდგომა უნდოდათ, მათმა სავკო დუშჩაკმა ბოლო ორ წუთში ორი სამქულიანი ჩაგვიგდო. საბოლოოდ მხოლოდ 2 ქულით წავაგეთ, მაგრამ ამით რა ხეირი.

**— შენ რაღაც შეუფერებლად ცოტა ითამაშე ბოლო მატჩში...**

— არ ვიცი, რატომ მოიქცნენ ასე, მხოლოდ 17 წუთი ვიყავი მოედანზე. არადა, კარგად დავიწყე, პირველ 8 წუთში 9 ქულა ჩავაგდე, მაგრამ მეორე მეოთხედში მხოლოდ 3 წუთი ვითამაშე, მესამეშიც თითქმის ამდენი და ბოლო ათწუთეულში სათადარიგოთა სკამიდან არ ავმდგარვარ. ნაღდად არ ვიცი, ტომო მაჰორიჩმა რატომ არ მათამაშა...

**— ეტყობა, წინა მატჩებში არ მოეწონე ერთიორჯერ ძალიან უშედეგო იყავი.**

— მარტო ქულებში ხომ არაა საქმე. საერთო აზრით, ფინალის მხოლოდ მესამე მატჩი ჩავაგდე, როცა ბევრ ქულას ვერ ვაკეთებდი, დაცვას ვამაგრებდი. მე ისეთი მოთამაშე ვარ, თუ სასროლი არ არის, არ ვესვრი, არ მიყვარს პრანჭიაობა და თავბრუდამხვევი სიტუაციიდან სროლა. თუ გინდა, დააკვირდი, თუნდაც 6 ქულა რომ მაქვს გაკეთებული — სულ 4, მაქსიმუმ 5 სროლით, ანუ, როცა ჩაგდების მცირე შანსია, საქმეს არ ვირთულებ.

**— „ოლიმპია“ აქამდე მხოლოდ ერთხელ ვერ გახდა სლოვენიის ჩემპიონი. ეს მარცხი კლუბის ხელმძღვანელობისთვის ალბათ დიდი იმედგაცრუება იქნებოდა...**

— რა თქმა უნდა, არ ესიამოვნებოდათ, მაგრამ ტრაგედია არ შეუქმნიათ. თავისი გასაკეთებელი „ოლიმპიამ“ ამ სეზონში უკვე გააკეთა, როცა ევროლიგის ოთხთა ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. ისე, კიდევ კარგი, რომ „კრკასთან“ წავაგეთ, „პივოვარნასთან“ რომ წაგვეგო, დიდი პრობლემები გვექნებოდა, ხელფასებს გაგვინახევრებდნენ. ჩვენი სპონსორი „უნიონია“, ხოლო ეს კონცერნი და ლაშკოელთა სპონსორი „პივოვარნა“ ბიზნესში ერთმანეთის კონკურენტები არიან. ჰოდა, პივოვარნელებთან რომ წაგვეგო, ჩვენი სპონსორები გადაირეოდნენ და...

**— „კრკაც“ საკმაოდ სოლიდური კომპანიაა, ის „უნიონის“ კონკურენტი არ არის?**

— არა, „კრკა“ წამლებს აწარმოებს, „უნიონი“ და „პივოვარნა“ ლუდს და მისთანებს. „კრკასთან“ წაგება ყველაზე მეტად უბრალო ლიუბლიანელებს ეწყინათ, ნოვომესტოელებს ისინი სოფლელ გოიმებს ეძახიან. გოიმების გუნდმა როგორ უნდა გვაჯობოსო, გული სწყდებათ ლიუბლიანელებს.

**— ახლა როგორ იქნება შენი საქმეები, „ოლიმპიასთან“ 5-წლიანი კონტრაქტი დაგისრულდა, აგერ, 22 წელიც შეგისრულდა და დრაფტზე ასარჩევადაც ბოლო შანსი გაქვს. საით მიგიწევს გული?**

— გული მეუბნება, სლოვენიაში დარჩიო. ეს წმინდა პრაქტიკული მიზეზის გამო. თუ სლოვენიიდან არ წავედი, წლეულს აქაურ პასპორტს ავიღებ. ეს კი პირველ რიგში იმისთვის მჭირდება, რომ თავისუფლად ვიმოგზაურო ქვეყნიდან ქვეყანაში ჩემს გუნდთან ერთად. ქართული პასპორტი, რისთვისაც ისედაც პრობლემები მაქვს, უმალ ივსება სავიზო შტამპებით და თუ არ გამოვცვალე, საზღვრებს ვერ გადავკვეთ. არადა, ევროლიგასა და ადრიატიკის ლიგაში მოთამაშე „ოლიმპიას“ კვირაში მინიმუმ ორჯერ უწევს საზღვარგარეთ წასვლა, „ოლიმპიაში“ თუ დავრჩები, ალბათ ამის გამო, ისე კი, რამდენიმე შემოთავაზება უკვე მივიღე საკმაოდ ძლიერი კლუბებისგან.

**— ვერ გაგვიმხელ?**

— ჯერჯერობით ვერა, ასეთია დროებითი შეთანხმება, იმას კი გეტყვი, რომ სლოვენიაზე ძლიერი საკალათბურთო ქვეყნებია.

**— იტალია, ესპანეთი?**

— ორივე.

**— რატომ ამერიკა არა, წლევანდელ დრაფტშიც ხომ მონაწილეობ...**

— დრაფტზე კი ვდგევარ, მაგრამ გააჩნია, რომელ რაუნდში ამირჩევენ. პირველის იმედი არ მაქვს, მეორე რაუნდში არჩეულებს კი ნბა-ში ფეხის მოკიდების პატარა შანსი აქვთ, თუმც ეგებ გამომივიდეს რამე, ჩემმა მენეჯერმა მარკ ფლეიშერმა „დენვერს“ შესთავაზე ჩემი თავი და მათაც ინტერესი გამოიჩინეს. კარგი იყო, სლოვენიაში მალე მორჩენილიყო ფინალური სერია და რამდენიმე ვარჯიში მომესწრო „დენვერთან“, მაგრამ... რა ვიცი, დენვერელებს ფლეიშერისთვის უთქვამთ, მე-12 კაცად გვინდა ბოისაო. ვნახოთ, რა იქნება, ჯერ თუ ამირჩევენ და, მერე თუ დამიბახებენ. „დენვერში“ ბლომად კასეტები აქვთ და იციან, თუ რა მოთამაშე ვარ. თუ არ ამიყვანენ და, არ ვინაღვლებ, ევროპის გუნდები აქ არ არიან?

**ირაკლი ბერტაია**

# ლენოქს ლუისი VS ვიტალი კლიჩკო




| | | | |
|---|---|---|---|
| ასაკი | 37 | კისერი | 46 სმ |
| წონა | 116 კგ | წელი | 85 სმ |
| სიმაღლე | 196 სმ | ბარძაყი | 65 სმ |
| გულისფიცარი | 112 სმ | მუშტი | 30 სმ |
| ბიცეფსი | 43 სმ | მტევანი | 20 სმ |




| | | | |
|---|---|---|---|
| ასაკი | 31 | კისერი | 46 სმ |
| წონა | 113 კგ | წელი | 89 სმ |
| სიმაღლე | 201 სმ | ბარძაყი | 59 სმ |
| გულისფიცარი | 116 სმ | მუშტი | 29 სმ |
| ბიცეფსი | 44 სმ | მტევანი | 18 სმ |

გიო ახვლედიანის

სვეტი

## საშემოდგომო წარმოდგენა

ამაღამ, ანუ ხვალ დილით, ჩვენი დროით ექვსი საათიდან ლოს ანჯელესში საკრივო საღამო დაიწყება და სადღაც რვის ნახევრიდან ამ შოუს მთავარ ამბავს ლენოქს ლუის — ვიტალი კლიჩკოს ბრძოლასაც უნდა ველოდით.

ლუისი აშკარა ფავორიტად ითვლება და სიმართლე ითქვას, მართალიცაა, მძიმე წონის ორადორი ინტელიგენტის შეხვედრაში ბრიტი უფრო ძლიერად გამოიყურება. ისიც სათქმელია, რომ ამნაირი ბრძოლები მრავლად გვინახავს და საერთოდ, ლოს ანჯელესის პუბლიკაც გვარიანად გულცივი დარჩა ამ შეხვედრის მიმართ.

საინტერესო სხვაა: უკვე აშკარაა, რომ ლუისი ნელნელა ეთხოვება კრივს, რაზეც მისი მწვრთნელი ემანუელ სტიუარდიც მიგვანიშნებს. კლიჩკოსთან ბრძოლის შემდეგ ლუისს სურს როი ჯონსს დააზომოს ხელთათმანი, რაც, ალბათ, მისი კარიერის ბრწყინვალე დასასრული იქნება.

ყველამ ვიცით ვინ არის ლენოქს ლუისი. ის გახლავთ დიადი, დახვეწილი, მეცნიერი მოკრივე, საოცარი გონებითა და სტილების ცვლის უნარით. ის კრივის ნამდვილი ხელოვანი ბრძანდება. და ვინ არის როი ჯონს? ესეც ყველამ ვიცით: კრივის უნიკუმი, გენიოსი, ტექნიკის მეფე; ადამიანი, რომელიც ნაირგვარი საშუალო წონების იოლი ჩემპიონი გახლავთ და ახლა მძიმე წონაშიაც არის ჩემპიონად. ეს კაცი ისე ბერდება რინგზე, რომ ღირსეული მეტოქე არ შეხვედრია.

ერთი ლუისისგან ორი ჯონსი გამოიჭრება, ჰა თუ წონით, ჰა თუ დამრტყმელ ძალით, ჰა თუ მკლავის სიგრძით. მაგრამ ამგვარი ბრძოლის წარმოდგენა მაინც მეტად წარმტაცია. ექსპერტები, ცხადია ლუისისკენ გადაიხრებიან, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ეს ორი კაცია ღლევანდელი კრივის ფერის და გემოს მიმცემი.

ჯერჯერობით, არავინ იცის, გაიმართება, თუ არა ეს ჯადოსნური ბრძოლა, მაგრამ ეს რომ ნამდვილი ზღაპარი და ზე-ოსტატობითა და განცდებით სავსე ამბავი იქნება თუნდაც რამდენიმე წუთის განმავლობაში, ნამდვილია.

მე თუ მკითხავთ, საქმე ჯონსის თანხმობაშია, რადგან მცირეწონოსანი ის არის და უპირატესობა ლუისის მხარესაა, მაგრამ ჯონსი ხომ ასეთი მოწყენილია, მას ხომ ასე ენატრება დიდი გამოცდა.

დიდებული რამ უნდა იყოს.

ამაღამ კი რა? ამაღამ ის, რომ თუ ლუისს არ ჩამოეძინა, ვიტალი კლიჩკოს შანსი არ უნდა ჰქონდეს. წესით, რა თქმა უნდა. თორემ ისიც გვახსოვს, როგორ წაიქცა ლუისი ორი წლის წინათ ჰასიმ რაჰმანის მუშტით, რადგან წარმოიდგინა, რომ რინგზე მარტოა. რემატჩში კი გაბურთავა რაჰმანი მაგრამ...

ჩვენ შემოდგომას უფრო ველით. იმ დროისთვის მოიზომა ლუისმა ჯონსთან შეხვედრა.

რაგბი

# ბონჯორნო, ბაჯო

## ილია ზედგინიძის ზეფიქრები: ინგლისი თუ ავსტრალია?

*საქართველოს ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე ახლა თბილისშია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ილოს იტალიურ კლუბ „როვიგოსთან" ერთწლიანი კონტრაქტი დაუმთავრდა და უგუნდოდაა. ბორჯღალოსანთა მორკინალი ჯერჯერობით არ ჩქარობს ახალი კლუბის მოძიებას. იგი ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრალიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის ემზადება და მომავალ გუნდსაც ამ დიდი ტურნირის შემდეგ გამოძებნის.*

*ზედგინიძეს გუშინ შევხვდით და მასთან საუბარი იტალიაში გატარებული სეზონით დავიწყეთ*

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში „როვიგომ" მეშვიდე ადგილი დაიკავა, ვფიქრობ, ჩემთვისაც და აქსენტი გიორგაძისთვისაც წარმატებული სეზონი გამოდგა. ორივე გუნდის ლიდერები ვიყავით. ისე, „როვიგოსგან" არც არავინ ელოდა ჩემპიონობას. იტალიაში ძნელია „ტრევიზოს" და „კალვეზანოს" გაუწიო კონკურენცია, თანაც სეზონის წინ „როვიგოში" ჩვენიანად თორმეტი ახალი მორაგბე მოვიდა. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია, გუნდი რამდენიმე დღეში შეკრა და საპრიზო ადგილები დაუსახო მიზნად.

**— რატომ გადაწყვიტე „როვიგოდან" წამოსვლა?**

— კლუბის უფროსობამ გუნდი ფაქტობრივად დაშალა. ვისაც კონტრაქტი დაგვიმთავრდა, ახალი არ შემოუთავაზებიათ. ჩემი და აქსენტის გარდა „როვიგოდან" კიდევ ექვსი არგენტინელი წავიდა.

**— დაბრუნება რომ შემოგთავაზონ?**

— იტალიაში დაბრუნება არ მსურს, უფრო შორს ვიხედები.

**— ალბათ ინგლისს გულისხმობ. ვიცი, იქ თამაში ძალიან გინდა.**

— ასეა. ჩემი მენეჯერი პასკალ ფურნიე, რომელიც ლევან ცაბაძის მენეჯერიცაა, ცდილობს, რომელიმე ინგლისურ კლუბში მომაწყოს. გამორიცხული არ არის, სხვა ქვეყანაშიც ამოვყო თავი.

**— მაინც?**

— ავსტრალიაში. ყველაფერი დამოკიდებულია მსოფლიოს თასზე ჩემს თამაშზე. იქაურებს თუ თავი მოვაწონე, ალბათ რომელიმე გუნდი ამიყვანს. გარდა ამისა, მინდა, ზე-12-ში მონაწილე ავსტრალიურ კლუბებს შევუთანხმდე და ამ ტურნირისთვის მოსამზადებელი ოთხთვიანი ეტაპი ერთ-ერთ მათგანთან გავიარო. ასე უფრო მეტი შანსია, რომელიმე გუნდში მოვხვდე. ვნახოთ, რა გამოვა. ისე, ავსტრალიაში თამაშის პერსპექტივა ადრეც მქონდა. სამი წლის წინ „ბეზიეში" ჩემთან ერთად ორი ავსტრალიელიც თამაშობდა. მათთან ვმეგობრობდი და შემომთავაზეს ზე-12-ის რომელიმე ავსტრალიურ გუნდთან ერთად ვარჯიშს გაგიხერხებთო. მაშინ უარი ვუთხარი და ახლა ძალიან ვნანობ.

**— რატომ? საფრანგეთში და იტალიაში თამაშმა განა არაფერი მოგცა?**

— როგორ არა, მაგრამ ავსტრალია და ინგლისი მაინც სხვა დონეა.

**— საფრანგეთი და იტალია ურაგბოდ შეადარე**

— იტალიაში გაცილებით იოლია ცხოვრება. ფრანგებისგან განსხვავებით იტალიელები უფრო გულღია და თბილი ხალხია. „როვიგოში" ბევრი მეგობარი მყავდა. როგორც საქართველოს ნაკრებში, იქაც ერთად დავდიოდით, ვერთობოდით, ვსეირნობდით. იტალიელების გარდა ექვსივე არგენტინელ ლეგიონერთან ვმეგობრობდი, ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ. სხვათა შორის, იტალიაში რობერტო ბაჯო გავიცანი.

**— როგორ?**



ილია ზედგინიძე იტალიური სეზონის დამთავრების შემდეგ კლუბის მოძებნას არ ჩქარობს

— როვიგოში ახალი გადასული ვიყავი, როცა მუხლის ოპერაცია დამჭირდა, ოპერაცია კი ბაჯოს ქირურგმა გამიკეთა. მასთან მორიგი ვიზიტისას დერეფანში ბაჯო დავლანდე, ისიც მასთან იყო მისული. ჩვენმა საერთო ექიმმა გაგვაცნო ერთმანეთი.

**— ისაუბრეთ?**

— არა, მაშინ იტალიური არ ვიცოდი. მხოლოდ ხელი ჩამოვართვი და „ბონჯორნო, ბაჯო" ვუთხარი.

**— ახლა როგორაა იტალიურის საქმე?**

— მთლად გამართულად ვერა, მაგრამ უცხოელის კვალობაზე ნორმალურად ვსაუბრობ.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ საფრანგეთიდან იტალიაში გადასვლა შენთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იყო?**

— მაშინ ყველაფერი ჩემს ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული. მხარი ახალი ნაოპერაციები მქონდა და ექიმები გადაჭრით ვერ მეუბნებოდნენ, რამდენი ხანი დასჭირდებოდა სარეაბილიტაციო კურსს. ამ გაურკვევლობაში ფრანგული კლუბები ვერ რისკავდნენ ტრავმირებული მორაგბის აყვანას. ამასობაში საფრანგეთში სატრანსფერო პერიოდიც გაილია და დავრჩი უგუნდოდ. ჩემმა მენეჯერმა კი „როვიგოს" ვარიანტი შემომთავაზა, ეს კლუბი მზად იყო, ჩემს გამოჯანმრთელებას დალოდებოდა. ასე რომ, იტალიაში გადასვლა გამართლებული იყო, რადგან საერთოდ უგუნდოდ ვიყავი.

**— მალე თბილისში საშვიდკაცო ევროსერიის ერთ-ერთი ეტაპი გაიმართება. ითამაშებ?**

— არა, იტალიაში მხრის ხრტილი გავიტეხე და სანამ ბოლომდე არ მოვირჩენ, ვერ ვითამაშებ.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS მადრიდიდან

# ბერნაბეუს ოთახებში

„სანტიაგო ბერნაბეუს“ სამუზეუმო ოთახებში ნორჩთა მოზღვავება იყო. არც გასაკვირია, ქვეყნად იშვიათია ამგვარი საფეხბურთო სიმდიდრის მუზეუმი და საერთოდ არ არის სხვა ისეთი ადგილი, სადაც ცხრა ჩემპიონთა თასი გვერდიგვერდ ინახებოდეს. როგორც ხედავთ, ბიჭუნები სერიოზულნი და დაფიქრებულნი ჩანან, რაც საკვირველი სულაც არ არის, სასიამოვნო კი ნამდვილად გახლავთ. დი სტეფანოდან ზიდანამდე დრო დიდი ისტორიითაა სავსე და ეს ყველაფერი ამ მუზეუმში ეტევა.




REUTERS მადრიდიდან

# ასკოტის ოთხი მოხუცი

დღესა და, ხვალ კი დასრულდება ხუთდღიანი არისტოკრატული ყეენობა, რომელსაც ასკოტის სამეფო დოღი ჰქვია. გუშინ ასკოტში „ბანოვანთა დღე“ იყო და ყველამ საგანგებო სამოსელ-შლაპებით მოიწონა თავი. იმათ შორის ელიზაბეტ მეორემაც. ეს სამი ღირსეული ძიაკაცი კი ასკოტის სტიუარდები გახლავან, სხვანაირად კი დოღის მთავარი თასის მცველები. კარგი ფოტოა, დიახ თითქოს ძველი დროებიდან გადმოვარდათ.



REUTERS ასკოტიდან

# ვარსკვლავი

ელისონ ფელიქსი ჯერაც ყმაწვილქალია, მაგრამ უკვე ითვლება მძლეოსნობის ამომავალ ვარსკვლავად. ახლა ელისონი კალიფორნიის ნორსბრიჯის უნივერსიტეტში ვარჯიშობს, რათა უქმეებზე სტემფორდის უნივერსიტეტში დაგეგმილ დიდ ამერიკულ შეჯიბრში ჩაებას.



REUTERS ნორსბრიჯიდან

# პასის ჩაჭრა

აი, ამ მომენტს პასის ჩაჭრა ჰქვია და ეგებ ჩვენთვის უცხოც იყოს, მაგრამ ამერიკულ ბურთაობაში პასის ჩაჭრას დიდი ოსტატობა და ჯანი სჭირდება. თამაში კი კანადურ ლიგაშია. სასკაჩევანელი მცველი ომარ გლენი ტორონტოელი მორბენალი მცველის მაიკლ ჯენკინსის უბურთოდ დატოვებას ახერხებს.



REUTERS ტორონტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ზოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge